

**ჰანს მაგნუს ენცენსბერგერი
პოეტური და თეორიული**

თვითგამოცემა

Hans Magnus Enzensberger
POETISCHES UND THEORETISCHES

Ausgewählt, herausgegeben und mit einem Vorwort versehen von
Dato Barbakadse

Selbstverlag
Tbilissi 2012

მადლობას ვუხდით ჩემს მეგობრებს,
ეკა ნავროზაშვილს და მერაბ ლაბაძეს,
რომელთა ძვირფასი დახმარებითაც ეს წიგნი გამოიცა.

დ. ბ.

პირველი გამოცემა

ტირაჟი: 7 ცალი

ISBN 978-9941-0-4148-8

ჰანს მაგნუს ენცენსბერგერი

პოეტური და თეორიული

**ჰ. მ. ენცენსბერგერის რამდენიმე ლექსი, ორი ესსე
და ვოლფ ლეპენიესის წერილი ჰ. მ. ენცენსბერგერზე**

გამომცემელი: დათო ბარბაქაძე

თვითგამოცემა

თბილისი

2012

08.02.2012

წინამდებარე გამოცემა დაუსრულებელი პროექტის რეალიზებას წარმოადგენს, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. პროექტის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი ტევადი წიგნი 2009 წელს უნდა გამოქვეყნებულიყო და მასში თავი უნდა მოეყარა ენციკლოპედიაში ასამდე ლექსს, ოცამდე ესსეს, მასთან ინტერვიუს, მის მიმოწერას ჰანა არენდტთან, ასევე - იუბილარის შესახებ სხვადასხვა დროს დაწერილ რამდენიმე ევროპელი მოაზროვნის ესსეს (მათ შორის, ალფრედ ანდერშის, მარტინ ვალზერის, იურგენ ჰაბერმასის...). ვინაიდან შეუძლებელი იქნებოდა ერთ ტომში მხოლოდ ავტორის თვალგაუწვდენი შემოქმედების ყოვლისმომცველი სპექტრის თუნდაც ესკიზურად წარმოდგენა, არჩევანი შევაჩერე ერთ თემაზე, რომელიც, წინარესაზოგადოებრივ მდგომარეობაში ჩარჩენილი ქართული რეალობის გათვალისწინებით, განსაკუთრებული აქტუალობით გამოირჩევა. საქმე ეხება ენციკლოპედიაში მასშტაბური შემოქმედების კონცეპტუალურ ქვაკუთხედს: **სიფხიზლის ესთეტიკას**. წიგნის სტრუქტურა ჩამოვყალიბე, მთარგმნელებისთვის გადასახდელი თანხა და სავარაუდო სასტამბო ხარჯები დავიანგარიშე, რამდენიმე მთარგმნელს პირველი ტექსტებიც დავუგზავნე, მაგრამ, ბედის ირონიით, ჩემს გეგმას სწორედ ამ დროს დაესვა წერტილი. საქმე ის გახლდათ, რომ პროექტის განხორციელებას ჩემივე ფინანსური შესაძლებლობებით ვაპირებდი (ძირითადად, მცირედი სახელფასო დანაზოგით და ევროპულ ლეზუნგებში მიღებული ჰონორარებით, რაც, ერთიანად, 2000-მდე ევროს უყრიდა თავს), ჩემს ცხოვრებაში მოულოდნელად მომხდარმა ცვლილებებმა კი (უსამსახუროდ დარჩენამ, ახალი სამსახურის ძიების უნაყოფო მცდელობებმა, მწვავე ოჯახურმა საჭიროებებმა) პროექტის შეჩერება გამოიწვია. მაგრამ უკვე თარგმნილი და ჩემს ხელთ არსებული მასალები რომ არ „გაყინულიყო“ (და საიუბილეო წელსაც ცუდად არ ჩაევლო), ისინი, ელექტრონულ ფორმატში ერთად თავმოყრილი და ლექტორირებულ-კორექტირებული (გამონაკლისს წარმოადგენდა ვოლფ ლეპენიესის მახვილგონივრული სტატიის თარგმანი, სკანირებული ხელნაწერის სახით არსებული), რამდენიმე თბილისურ ლიტერატურულ ჟურნალს შევთავაზე გამოსაქვეყნებლად. ერთადერთი ადამიანი, ვინც ამ იდეით დაინტერესდა, ჟურნალ „ლიტერატურის“ რედაქტორი, მალხაზ ხარბიძეა, აღმოჩნდა. მან ჩემს მიერ გერმანიიდან გამოგზავნილ მასალებს, უმოკლეს დროში, ჟურნალის ორ მესამედზე მეტი დაუთმო (არ გამოუქვეყნებია მხოლოდ ვოლფ ლეპენიესის ტექსტი, რომელსაც დაინტერესებული მკითხველი წინამდებარე გამოცემაში გაეცნობა). ასე მოხერხდა მთარგმნელთა მიერ განეული შრომის ანაზღაურებაც, თუნდაც სიმბოლურად (ბედმა არ გაუღიმა მხოლოდ ქალბატონ ნანა გოგოლაშვილს).

რაც შეეხება წინამდებარე გამოცემას, რომელიც ჩემი მრავალწლიანი საგამომცემლო პერფორმანსის ორგანული ნაწილია, მასში სწორედ აღნიშნული საჟურნალო პრეზენტაცია მეორდება, თვით მცირე წინასიტყვის ჩათვლით (იხ. „ლიტერატურა“, # 31, 2009); წიგნი შევსებულია ავტორის კიდევ რამდენიმე ლექსით, ლეპენიესის სტატიით, და ამოღებულია საჟურნალო პრეზენტაციის ფარგლებში გამოქვეყნებული, ენციკლოპედიაში მიძღვნილი ჩემი ლექსი.

წიგნის ძირითადი ნაწილი სიმბოლურად იხსნება უხუცესი ქართველი მთარგმნელის, ბესიკ ადგიშვილის მიერ თითქმის ორმოც წელზე მეტი ხნის წინ შესრულებული ენციკლოპედიაში ლექსის კონგენიალური ქართული თარგმანით. სწორედ რომ დროული და კონტექსტურად უზუსტესი აქტი იქნება ერთი ფაქტის არდაკარგვა: ბესიკ ადგიშვილის მიერ 1972-1973 წლებში დაწერილი გერმანულენ-

ოვანი ლიტერატურის უნიკალური მიმოხილვისა და მას თანდართული ამ ლექსის თარგმანის გამოქვეყნება მხოლოდ 1985 წელს გახდა შესაძლებელი ჟურნალ „საუნჯეში“ (ლერი ალიმონაკის ინიციატივით და იმ ხელსაყრელი გარემოების წყალობით, რომ „საუნჯის“ მაშინდელი რედაქტორი მუხრან მაჭავარიანი ავტორს კარგად იცნობდა, ანუ – ეს ყველაფერი მოხდა შემთხვევით). ცხელ-ცხელი მიმოხილვის გაყინვის საპატიო მისია კი 1973 წელსვე წილად ხვდა ალმანახ „კრიტიკას“, რომლის მაშინდელმა პასუხისმგებელმა მდივანმა მისთვის ხელიდან ხელში გადაცემული მიმოხილვის ავტორს სამი წლის განმავლობაში პასუხი არ აღირსა (არც დადებითი და არც - უარყოფითი), რის მერეც გულნატკენმა გერმანისტმა სტატია რედაქციიდან გამოითხოვა და დიდხანს აღარ უცდია მისი გამოქვეყნება (სხვათაშორის, 70-იან წლებშივე, დაფიქსირდა კიდევ ერთი, ბევრად უფრო სახალისო, შემთხვევა: ბესიკ ადვიშვილმა ალმანახ „ხომლის“ რედაქციაში მიიტანა მის მიერ თარგმნილი კონკრეტისტის, ჰელმუტ ჰაისენბიუტელის, ლექსთა თარგმანები. რედაქციის სწორედ ის წევრი, რომელმაც თარგმანები დაიწუნა და თავისი ღირსეული როლი შეასრულა მათ გამოუქვეყნებლობაში, ცოტა ხნის მერე აღტაცებული ლაპარაკობდა ლიტერატორებთან ჰაისენბიუტელზე, და ეს – მაშინ, როცა ის, ენების არცოდნის გამო, ვერც სხვა რომელიმე ენაზე ჰაისენბიუტელის ლექსების წაკითხვას შეძლებდა და ვერც მის კულტურულ თვალსაწიერში მოხვდებოდა ეს გერმანელი პოეტი, სულ მცირე – იმის გამო, რომ მაშინ ორ-სამ გერმანისტს თუ ექნებოდა გაგებული საქართველოში ჰაისენბიუტელის გვარი).

ჩემთვის დღესდღეობით ცნობილია ენცენსბერგერის ლექსთა კიდევ რამდენიმე – გამოქვეყნებული – თარგმანი, სხვადასხვა დროს შესრულებული თამაზ ჩხენკელის, ბადრი გუგუშვილის და კონსტანტინე ზ. გამსახურდიას მიერ.

ჰ. მ. ენცენსბერგერის ლექსები თარგმნილია გამოცემიდან: Hans Magnus Enzensberger: *Gedichte 1955–1970*. Frankfurt am Main: Suhrkamp 1971. ჩემი თარგმანები, საჟურნალო პრეზენტაციამდე, შევიდა გამოცემაში: ჰანს მაგნუს ენცენსბერგერი, ქვეყნის ენა. თბილისი, 2008.

ჰ. მ. ენცენსბერგერის ესსეები თარგმნილია გამოცემიდან: Hans Magnus Enzensberger. *Nomaden im Regal*. Frankfurt am Main: Suhrkamp 2003.

ვოლფ ლეპენიესის წერილი თარგმნილია გამოცემიდან: *Der Zorn altert, die Ironie ist unsterblich. Über Hans Magnus Enzensberger*. Herausgegeben von Rainer Wieland. Suhrkamp Verlag Frankfurt am Main 1999.

ჰანს მაგნუს ენცენსბერგერს, XX საუკუნის გერმანული პოეზიის ოქროს წლების (50-იანი წლებიდან მოყოლებული, ვიდრე 70-იანი წლების ბოლომდე) ერთ-ერთ ყველაზე უფრო ცნობილ წარმომადგენელს, 80 წელი შეუსრულდა. მისი შემოქმედება მოიცავს არა მხოლოდ ლირიკას, რომლის გავლენა გერმანულ-ენოვან პოეზიაზე თავისი მასშტაბით შეიძლება ამერიკულ პოეზიაზე აღენ გინზბერგის გავლენას შევადაროთ, არამედ – უმდიდრეს ესსეისტიკას, თარგმანს, საგამომცემლო საქმიანობას, აკადემიურ სამეცნიერო კვლევას, რადიოპიესებს, სოციალური კრიტიკის ხელოვნებას.

იყო დრო, როცა ენცენსბერგერის პოეტური სიტყვა და თეორიული დაკვირვებები, მისი სოციალურად ანგაჟირებული ცხოვრება და პრაქტიკული გადანყვეტილებები გერმანული კულტურის განვითარების არსებით მომენტებს განსაზღვრავდა. მიჩნეულია, რომ ბრეხტის მერე ენცენსბერგერის რანგის პოლიტიკური პოეტი გერმანიას არ ჰყოლია. ეს სახელი მას პირველმავე პოეტურმა კრებულმა – „მგლების დაცვა კრავებისგან“ – მოუპოვა. უნიკალური აღმოჩნდა მის მიერ 1960 წელს გამოცემული „მოდერნული პოეზიის მუზეუმი“. თექვსმეტი ენიდან თარგმნილი ასამდე ავტორიდან, რომელიც ამ ანთოლოგიამ გააერთიანა (ლექსების დიდი ნაწილი თვით ენცენსბერგერის მიერ იყო თარგმნილი), უმრავლესობა მხოლოდ ამ წიგნის გამოცემის მერე იქნა აღიარებული, როგორც მოდერნული პოეზიის კანონიკური წარმომადგენელი, მანამდე კი უცნობი იყო ან ჩრდილში რჩებოდა.

ენცენსბერგერმა დააარსა და 1965-1975 წლებში გამოსცემდა ჟურნალს სახელწოდებით „Kursbuch“ (სიტყვა აღნიშნავს წიგნად შეკრულ სარკინიგზო მოძრაობის განრიგს), რომელიც გერმანიაში მემარცხენე ლიტერატურის და თეორიული აზრის ეპიცენტრი იყო და უდიდეს გავლენას ახდენდა ლიტერატურულ და თეორიულ აზრზე და სოციალურ კრიტიკაზე. დებატები, რომლებიც ამ ჟურნალის ფურცლებზე ფიქსირდებოდა, აყალიბებდა ლიტერატურისგან, ხელოვნებისგან შორსმყოფი ადამიანების პოლიტიკურ კულტურას. ენცენსბერგერის (და მისი ამ ჟურნალის) სახელი 60-იანი წლების გერმანიაში სტუდენტური მოძრაობის და რადიკალური სოციალური პრაქტიკების ყველა ეტაპზე უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა.

1967 წელს ენცენსბერგერი იყო ბერლინში არასაპარლამენტო ოპოზიციური მოძრაობის, „რესპუბლიკური კლუბის“, ერთ-ერთი დამფუძნებელი და თეორეტიკოსი. მთელი გერმანიის ტერიტორიაზე ამ კლუბის უამრავი ანალოგის შექმნამ დააჩქარა სოციალური აქციები (თეორიული დისკუსიები, დემონსტრაციები, სახ-

ელოვნებო პროტესტების პერმანენტული სერიები), რომლებიც ერთგვარი საორიენტაციო პლატფორმები იყო სოციალური სამართლიანობისთვის მეზრდოლი მოქალაქეებისთვის. სტუდენტური მოძრაობის ბაზაზე აღმოცენებული გაერთიანების „კომუნა I“ წევრები თავიდან სწორედ ენცენსბერგერის ბერლინურ ბინაში ცხოვრობდნენ, თუმცა, თვით ენცენსბერგერი თავიდანვე გაემიჯნა საკომუნო პრაქტიკებს.

ენცენსბერგერი გერმანიაში მედიის თეორიის ერთ-ერთი მამამთავარიც არის. მის სახელს უკავშირდება გერმანული პრესის მემარჯვენე ენის პირველი კრიტიკული ნაკითხვა და ამასთან დაკავშირებული მრავალწლიანი დებატები, რაც საბოლოო ჯამში მისი გამარჯვებით და მედიის სემიოტიკის გაღრმავებით, აკადემიურ საუნივერსიტეტო კურსებს შორის მისი უჩვეულო პოპულარობით დაგვირგვინდა. ვიზუალური და აკუსტიკური მედიის დარგში ენცენსბერგერის ესსეებში ნაცადია ფრანკფურტის სკოლის წარმომადგენლებისა და ბრეხტის რადიოს თეორიის ურთიერთდაკავშირება.

მსგავსად ნებისმიერი დიდი ინტელექტუალისა, არც ენცენსბერგერის ნააზრევი და ცხოვრებაა მოკლებული წინააღმდეგობებს. მათ შორის ყველაზე მწვავე რეაქცია გერმანელ ინტელექტუალებსა და მისი შემოქმედების დამფასებელ მილიონობით ადამიანში ენცენსბერგერის მიერ ერაყში ამერიკის ჯარების შეჭრის გამართლებამ გამოიწვია. ჰუსეინის დაპატიმრების საბაბით ერაყზე თავდასხმა, რაც გერმანელი ინტელექტუალების მიერ ერაყის ნავთობის მიტაცებისთვის ბრძოლად შეფასდა, ენცენსბერგერმა ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვებად მიიჩნია, რამაც მის ავტორიტეტს მთელ ევროპაში სერიოზული დარტყმა მიაყენა.

*დათო ბარბაქაძე
5 ნოემბერი, 2009*

ჰანს მაგნუს ენცენსბერგერი

ლექსები

ფრანკონული ალუბლის ბალი იანვრის თვეში

1.

რაც აქამომდე იყო ხე, იყო შტო, იყო სხტე, იყო ხერგული —
თოვლის-მიერ გაცრცნილ ჰაერში
ნამლევი ესე ნაკვალევი, ტუშით მოსმული,
ვით სიტყვა ერთი ფურცელზედან დაჩნეული,
ვეებერთელა ემაგ სითეთრეს დაენტქმება.
აეხატება სრულიადმცირე მშვენება იგი განტოტვილი
თეთრსა ცასა; მალალთითება, იგი,
თითქმისდა უხსოვნელი, თითქმისდა სუსხი უიოლესი,
დროჟამს თითქმისდა განრინებული;
თითქმისდა ასე: არც ზეითური, არც ქვეითური, თვალთმიუკვლევი
წირი მქრქალი, ცას და გორმახებს გაკიდული,
სულ ოდნავ თეთრი, ისევე თეთრში ჩატეული,
თითქმის არარა —

2.

მყოფობს მაინც,
ვიდრე ფურცელი ესე, ალაგი ესე, წამი ესე
სულმთლად თეთრად მოიქცეოდეს.
ფეთება იგი ფერთა მცირეთა,
ძნელგანსაჭვრეტი, ჩინობს მაინც ისევ და ისევ:
მწირზემწირთა ესრეთ წინწკალთა სპა ურაცხავი,
თუთიისფრად, ტყვიისფრად, ცარცისებრ,
ანდა თაბაშირისებრ, რძისებრ თეთრი; გადაპენტილი, ობისფერი, —
თვითეული განცალკევებით,
აგრერიგად მრავალხმიერად, ნათლად აგრერიგ დაწინწკლული

სასიკვდილო დღესასწაული ნაკვალევთა:
კონა და კონა კნინი სითეთრე ილაღადებს
მძლეთამძლეობას ზანტი მთქნარებით დავანებული მარადისობის.

3.

თითქმისდა ასე: არარასა და არარას შუა
ძალიანდება და, თეთრად ჰყვავის ხეი ალუბლის.

თარგმნა ბესიკ ადუიშვილმა

მგლები და ცვა კრავებისგან

ძერამ კესანე ცოხნოს, არა?
ტურას რას სთხოვთ,
ტყავი გაიძროს, მგელს? რომ
კბილი თავად დაიძროს?
პოლიტრუკებს და პაპებს
რას უწუნებთ?
ბრიყვულად თვალეზდაქაჩულები რას მიმტერებიხართ
ცრუპენტელა ეკრანს?

განა, ვინ უკერებს გენერალს
შარვალზე სისხლიან ლამპასებს? ვინ
უმზადებს მევახშეს ყვერულს?
ვინ იკიდებს თავმომწონედ თუნუქის ჯვარს
მოზუყბუყე ფაშვზე? ვინ
იღებს ხელის გროშს, ვერცხლის ფულს,
მაყუთს, რომ მოკეტოს? აკი,
ბევრია გაქურდული, ქურდი კი ცოტა; განა, ვინ
უკრავს მათ ტაშს, ვინ
იბნევს სამკერდე ნიშნებს, ან
ტყუილი განა ვის სწყურია?

სარკეში ჩაიხედეთ: ლაჩრებო,
სიმართლის სიმძიმით დადედლებულებო,
სწავლის უარმყოფლებო, მგლებისთვის
აზროვნების გადამლოცველებო,
თქვენი უძვირფასესი სამკაული საცხვირე რგოლია,
ყვეყჩებზე გათვლილი სიცრუე, იაფფასიანი
ნუგეში, ნებისმიერი გამომძალველობა

თქვენთვის ჯერ ცოტაა.

თქვენ, კრავებო, დები არიან,
თქვენთან შედარებით, ყრანტალა ყვავები:
თვალებს თხრით ერთმანეთს.
ძმობა სუფევს,
თუ სუფევს, მგლებს შორის:
ისინი ხროვებად დადიან.

დიდება ყაჩაღებს: თქვენ კი,
თქვენივე გასაუპატიურებლად მიმპატიჟებლებო,
თქვენვე მიეგდებით ხოლმე მორჩილების
შმორიან სანოღზე. ნკმუტუნებთ და
ამ დროსაც ცრუობთ. თქვენ გსურთ,
რომ გჯიჯგნონ. თქვენ
ვერ შეცვლით ქვეყნიერებას.

*Ostendebat namque varium iracundum iniustum
inconstantem, eundem exorabilem clementem
misericordem, gloriosum excelsum humilem,
ferocem fugacemque et omnia pariter.*

Plinius, Hist. nat. XXXV, XXXVI.¹

რა დამიკარგავს აქ,
ქვეყანაში, სადაც უწყინრად
მომავლინეს ჩემმა მშობლებმა?
ვარ მკვიდრი, თუმცა უნუგემო,
მიმოკარგული,
ადგილობრივი ამ საამო უბედობაში,
თვითკმაყოფილ, ლამაზ ხაროში.

რა გამაჩნია მე აქ? ანდა, რა დამკარგვია
ამ სასაკლავო ველზე, ზღაპრულ ამ საღორეში,
სადაც ყველა და ყველაფერი აღმავალი, მაგრამ არა წინმავალია,
სად მოყირჭებას საიმედოდ დაუდევს ბინა,
დელიკატესით მოვაჭრეთა მაღაზიებში ცარცივით თეთრი სიღარიბე
ხრინწიანად სადაც ხრიალებს და შედღვებილი ნალებიდან ამოიბლავლებს:
ყველაფერი აღმავალია!

სადაც ღარიბი მდიდრებისგან რაღაც ერთი მოგების იქით სხვები –

მდიდარი ღარიბები –

¹ პლინიუსი წერს ერთი ათენელის დაკარგული ნაშრომის შესახებ, რომელშიც საუბარია მისი ხალხის ხასიათზე: “მას (ანუ პარაზიუსს) სურდა ისინი (ანუ მისი ქვეყნის ხალხი) ისე წარმოედგინა, როგორც ის მათ წარმოუდგებოდა: კერძოდ ჭერლი, ფხუკიანი, უსამართლო, ოპორტუნისკენ მიდრეკილი; ამასთანავე, გავლენებს იოლად დაქვემდებარებადი, გულჩვილი, გულითადი; მაღლამხედი, განათლებული, უხამსი, მძვინვარე, მხდალი – და ეს ყველაფერი ერთბაშად და ერთდროულად.” (ავტორი)

თავ-თავიანთ კინოსკამებს აღტაცებით აცამტვერებენ,
აქ დაცემიდან დაცემამდე ყველაფერი აღმავალია,
გადასახადთა ბალანსი სადაც იგალობებს ოსანას და ნეტარ არიან-ს
და ბლავის: არა, საკმარისი სულაც არ არის
თავისუფალი დროის ქროლვა და გაქანება თვალმეუფლები,
ეს უმცირესი ზარალია, ნახევარია,
არაფერს ნიშნავს, საკმარისი სულაც არ არის,
ყველგან და ყველგან რომ დაძრწიან სატარიფე პარტნიორები
და იღერებენ დაბერილ მუშტებს და მოილხენენ
და მღერიან და ასე ამბობენ:
აქ ყველაფერი აღმავალია,
ჩინებულია მართლაც აქ ყოფნა,
აქ ხომ უკუსვლაც აღმავალია,
ერთი მმართველი აქ მეორე მმართველ ბატონს ლოცვანით ბომბავს,
მსუბუქად დაშავებულები აწარმოებენ ომს მძიმედ დაზარალებულებთან,
რასაც აქ ჰქვია უმონყალო სათნოება ერთურთის მიმართ,

და ეს მცირედი ბოროტებაა,
ეს არ მაკვირვებს,
მუშტრები ამას ეგუებიან,
სწორედ აქ, სადაც ერთი ხელი მეორეს იძენს,
გულზე დავიდოთ ხელი, ჩვენ აქ თავი ქუდში გვაქვს,

აქ დავემკვიდროთ,
ამ არიულ ჯართის გროვაზე,
ამ მოლრჭიალე მანქანსადგომზე,
სადაც ნანგრევებს ნანგრევები ამოეზრდებათ,
ახალთახლები, ნანგრევები მარაგად და განვადებიტაც,
გამონერიტაც, ჩამონერიტაც:

დიდებულია მართლაც აქყოფნა,
მოხმარებულ მომხმარებელს,
რაც მცირედი ბოროტებაა,
სადაც თმა სცვივა,
გოფრირებული მუყაოთი და ცელოფნით სადაც
დაუფარავს წარმატებული თავისი თავი,
სადაც იგი, არარსებული, ორმოდან ყვირის:
აქ დავემკვიდროთ,

მკვლელთა ორმოში,
აქ, სადაც კედლის კალენდარი, სიჩქარისგან და უმწეობისგან, თვითვე
იფურცვლის

და სადაც ნაგვის ბუნკერებში ნამყოფ ფუვდება,
ხოლო მერმისი აკრაჭუნებს პროთეზის კბილებს,
ამის მიზეზი ის არის, რომ ყველაფერი აღმავალია,
ჩვენ ყველაფრისთვის მათეთრებელს ვიყენებთ ჭარბად,
და ეს ისეთი ჩვეულებრივი საქმეა, რომ სულ არ მაკვირვებს,

ჩვენ ოქროს კვეთის სიზუსტით ვწევართ
აქ, პოზიტივი სადაც აღწევს უმაღლეს ნიშნულს,
და ის სავაჭრო პალატების არის სუდარა,
მინა-ჯავშნის ქვეშ მოთავსებულს დასაკრძალად მიასვენებენ,

სადაც, ბრმებს შორის, თავს კარგად ვგრძნობთ,
სადაც სავაჭრო ცენტრები და მორგები და იარაღის სანყოფილები ჩვენი
სახლია,

და ეს როდია ყველაფერი, ეს ხომ მხოლოდ ნახევარია,
ეს განზრახ დაკონსერვებული უდაბური ადგილებია,
წარმატებული სიშლეგეა, ეს არის ცეკვა
გაცრეცილი ნაულას ქურქით, დამტვრეული მუხლებით ცეკვა,

ამნეზიის მარადიული გაზაფხულის ჟამს,

ეს სხვა ქვეყნებზე ბევრად უფრო სხვა ქვეყანაა,
მე ამას ვნანობ, და რომ ვნანობ,
უმცირესი ბოროტებაა, რადგან სიმართლე ის არის მხოლოდ,
რასაც ამ ქვეყნის მსხვერპლად ქცეული, ჩვეულებრივი მკვდარი ხალხი
ქვესკნელიდან ამოიყვრებს, რაღაც უხმოს და წარუმატებელს,
რაც ხმაგაუმტარ საფარს აწვება ქვემოდან და
დაფარავს და სწრაფად მუქდება,
დალაქავდება, დასველდება და გუბურად გადაიქცევა,
და ეს სავსებით ჩვეულებრივი გუბურაა ის, რაც მას ტბორავს,

სახლის სულებსაც დატბორავს და
ძმები გრიმების ლომჩიტასაც, ნაირბენვასაც
და მათ მშვენიერ რაპუნცელსაც, აქ ისინი აღარ არიან,
არც ქალაქები არსებობს უკვე, აღარც თევზები,
ამ გუბეში ამოიხრჩო ეს ყველაფერი,

სამსახურსა და საცხოვრისს შორის ხანგრძლივ სავალს შეტოვებული,
მუყაითი და დაუცველი ჩემი ძმებივით,
რარიგ განვიცდი მათ ბედს, ღვთისმოსავ ამ მართლმსაჯულთა ბედსაც
განვიცდი,
გაზისკაცების გამოც ვწუხვარ, მერე როგორ დააბოტებენ ბევრნი და
ბევრნი,
დასაპლომბი ხელსაწყოებით, მძიმე-მძიმე ნაბიჯებით,
არარსებული ჩექმებით და უფსკრულის გავლით,
კეფაში მტკიცედ ჩაჭედული დამლით, თანახმად განანესისა:

რომ ყოფილიყო ეს ხალხი მსგავსი სხვა ხალხებისა,
სულ სხვა, სავსებით ჩვეულებრივი იქნებოდა ეს ქვეყანაც

და არა – ღამის და ნისლის მხარე,
არარსებულთ გადავსებული,

მათ არ იციან, ვინ არიან, არც სურთ იცოდნენ,
ამ ქვეყნად მოხვდნენ
ამ ქვეყნიდან გაქცეულები
და გაქცეულნი უნდა იყონ კუბოს კარამდე:

რომ ყოფილიყო სხვაგვარად, მაშინ მათი შველაც იქნებოდა შესაძლებელი,
იქნებოდა რჩევებიც და შინაგანი კმაყოფილებაც,
არ იქნებოდა ეს ყამირი, მტრული ქვეყანა!

რა დამიკარგავს აქ, რას ვეძიებ
და ვიჩიქნები ამ დაუმდგარ და ბნელ გორგალში
ერთმანეთში გახლართული ორთაბრძოლის იარაღების, ტკობის ნიშნების,
ქუდში გასარჭობ ფრთებისა და სეზონური ფასდაკლებების, განა რას
ვპოვებ,
თუ არა ისევ ქრონიკულად, ქრონოლოგურად მონესრიგებულ სპორტულ
დარბაზებს,
თუ არა საქმის მწარმოებლებს კაცობრივისთვის
ყაზარმებში ყაზარმების ყაზარმებისთვის:

რა მესაქმება აქ? რა უნდა ვთქვა?
რომელ ენაზე? ვის გასაგონად?
აქ არჩევანი დანასავით მესობა გულში,
ვნანობ, და ვიცი, ეს მცირედი ბოროტებაა,
და ის ყვირის და აღარ წყვეტს ყვირილს,
ცისკენ მიიწევს მცირე-მცირე შეყვირებებად,
უნდა, რომ უფრო დიდი ჩანდეს, ვიდრე არის სინამდვილეში,
მაგრამ ეს მთელი სულაც არ არის;

მხოლოდ დ და მხოლოდ შემზარავი ნახევარია,
ეს საკმარისი არ არის ჯერაც:

რადგან შიმშილით ცოფშეყრილი ეს ქვეყანა
თავად ითხრის გამრჯედ სამარეს,
ეს ქვეყანა თავის თავს თვითვე გამოყოფია,
გული, შიგნიდან განწვალული და დარღვეული,
მინცივ უაზროდ მონიკნიკე, ბომბი ხორცისა,
ჭრილობა სველი, არარსებული:

გერმანეთი, ჩემი ქვეყანა, უნმინდური გული ამ ხალხთა,
საკმაოდ სახელშელახული, ჟამით ჟამამდე,
ჩვეულებრივი ყველა ხალხის წარმოდგენაში:

მე და ჩემი ორი ქვეყანა, ჩვენ ვართ ერთურთს გაყრილი ხალხი,
და მაინც აქ ვარ, შეუპოვრად, ამ ყველაფრის მიუხედავად
და, მგლოვიარე, ვეკითხები ჩემს თავს:
მე აქ რა დამიკარგავს?

ის დამიკარგავს სწორედ,
რაც მე ენაზე მადგას,
რაც სხვა, მთელი,
მთელ მსოფლიოს გაბედულად რაც ეხუმრება
და არ იხრჩობა ამ გუბურაში,
უცხო, განწვალულ ამ ხრიალს რაც დაუტანია,
გაზეთ ახალი გერმანიის დაპრესილ ხრიალს,
“ფრანკფურტერ ალგემაინეს” ხრიალს
(რაც მცირედი ბოროტებაა),
პირდამუნული ხრჩობა, რომელმაც სულ არ უწყის საკუთარი თავის

შესახებ,

რომლის შესახებ არაფერი მინდა ვიცოდე, სანიმუშო ქვეყანა და
მკვლევების ხარო, სადაც სულით და გულით ჩააგდეს
ჩემი ნახევრად ცოცხალი ხორცი,
აქ ვრჩები ახლაც,
ვმეტოქეობ, უკან არ ვიხევ,
აქ დავრჩები ერთი ხანობა,
ვიდრე აქედან სხვა ხალხისკენ გავემურები,
და დავისვენებ მე სავსებით ჩვეულებრივ ქვეყანაში,
ოღონდ აქ არა,
ოღონდ არა აქ.

ლეხი ლეხების არმკითხველთათვის

ვისი ყვირილი გამოისმის ნანყვეტ-ნანყვეტი
ნისლის საკნიდან? ეს ვინ მოცურავს
ყელზე რეზინის რგოლჩამოცმული,
მარტის მაგარი ლუდის და სისხლის
მდულარე ტბორს გამოლწეული?

ისაა სწორედ,

ვისთვისაც მტვერში ვკანრავ ამ სიტყვებს,
ვინც მათ ვერასდროს ამოიკითხავს.

ვინ ჩამარხულა ერთიანად გაზეთებსა და
ქაქში? ვისა აქვს ურანი შარდში?
ან ნებოვანი ფურთხით თათბირებს
მინებებულ ვინ არის? ან ვინ
ამოვლებულა ტყვიაში?

ნახე,

ანტენით კეფადამშვენებული,
უტყვად იცოხნის ბინძური ტვინით.

რა მოვუხერხოთ დაგმანულ ყურებს,
ოდენ სარკალში ამოვლებულებს,
გამოხვეულებს ბირჟის ურიცხვ ბიულეტენში,
რეგისტრატურის პირქუმ შეკვრებად
პირადი ნებით ჩამოშტამპულებს?

ვირჯები

ჩლუნგი გამცემლების ყურთათვის, და მათ
მივმართავ ცივად, როგორც ღამე, დაბეჯითებით.

რა ღმუილია, ჩემს სიტყვებს რომ

ერთბაშად შთანთქავს? ეს ხომ ყეფაა უნმინდური
საუნყებო იმ არნივების, რომლებიც
ცაში, მთლად უსულოდ დატოვებულში,
ჩვენ გვდარაჯობენ.

ღვიძლს,

ჩემსას და შენსას, კორტნიან,
მკითხველო, ლექსებს რომ არ კითხულობ.

ბრმაღ

გამარჯვებით აღსავსე
იქნება საქმე თვალხილულთა
მათ ცალთვალეზი
მოასხდნენ კისერზე
ძალაუფლება ხელთ იგდეს
და ბრმა გაამეფეს

ჩაკეტილ საზღვართან დგანან
თვალდახუჭობანას მოთამაშე პოლიციელები
დროდადრო ანტისახელმწიფოებრივი
ხრიკებისთვის ძებნილ
თვალის ექიმს იჭერენ ხოლმე

ყველა მმართველ ბატონს
შავი სალბუნით დაუფარავს
მარჯვენა თვალი
ბრმათა გამძლოლი ძაღლების მიერ ნაპოვნ
უპატრონო მადიდებს და სათვალეებს
ნაპოვნი ნივთების უწყებაში აბლაბუდა დაპატრონებია

ბეჯითმა ახალგაზრდა ასტრონომებმა
შუშის თვალეზი ჩაისვეს
შორსმჭვრეტელი მშობლები
თავიანთ შვილებს წინდანინ ასწავლიან
დაელმების პროგრესულ ხელოვნებას

მტერი თავისი აგენტების ხელით
ბორის წყალს აპარებს კონიუნქტივიტის გამოსაწვევად

მაგრამ კეთილგონიერი მოქალაქეები
ვითარებათა გათვალისწინებით თავს ფხიზლად იცავენ
და არ ენდობიან თავიანთ თვალებს
სახეში იყრიან პილპილს და მარილს
აცრემლებულები ეხებიან ღირშესანიშნაობებს
და ბრმების ანბანს ეუფლებიან
ცოტა ხნის წინ მეფეს გამოუცხადებია
რომ ის მტკიცე რწმენით გაჰყურებს მომავალს

მშვიდობიანი კაცის საფლავზე

აი, ეს კაცი სულაც არ ყოფილა ხალხის მეგობარი,
გაურბოდა თავყრილობებს, სავაჭრო სახლებს, არენებს.
თავის მსგავსთა ხორცს არ მიირთმევდა.

ქუჩებში დააბიჯებდა ძალადობა,
ღიმილით, არა შიშველ-ტიტველი.
ზეცაში კი ყვირილის ხმები გაისმოდა.

ადამიანთა სახეები არ იყო მკაფიო.
ისინი დაიშალა
მანამ, სანამ მეხი იჭექებდა.

ერთადერთი, რისთვისაც ის მთელი სიცოცხლე იბრძოდა,
სიტყვებით და კბილებით, მძვინვარედ,
დაუნდობლად, მხოლოდ საკუთარი ძალებით:

იყო რაღაც, რასაც ის საკუთარ სიმშვიდეს ეძახდა
და მოიპოვა კიდევ, თუმცა პირი აღარ გააჩნია
მის ჩონჩხს, რათა ეს რაღაც შეიტკბოს.

MIDDLE CLASS BLUES

არაფერი გვაქვს სამდურავი.
გვაქვს საქმე.
ვართ მაძღარნი.
ვჭამთ.

იზრდება ბალახი,
ეროვნული შემოსავალი,
ფრჩხილები თითებზე,
წარსული.

ცარიელია ქუჩები.
ჩინებულია ხელშეკრულებები.
დუმან სირენები.
ეს უკვე დავინყებას ეძლევა.

გარდაცვლილებმა დატოვეს ანდერძი.
წვიმამ იკლო.
ომი ჯერ არ გამოცხადებულა.
ეს არაა საჩქარო.

ვიკვებებით ბალახით.
ვიკვებებით ეროვნული შემოსავალით.
ვიკვებებით თითის ფრჩხილებით.
ვიკვებებით წარსულით.

არაფერი გვაქვს დასამალი.
არაფერი გვაქვს წასაყრუებელი.
არაფერი გვაქვს სათქმელი.

გვაქვს.

საათი მომართულია.

ურთიერთობები მონესრიგებულია.

თეფშები წყალში გავლებულია.

ბოლო ავტობუსი ჩავლილია.

ის ცარიელია.

არაფერი გვაქვს სამდურავი.

რალას მოველით?

ლიქენოუნეზა²

I

ქვა რომ მეტყველებს,
გასაკვირი სულაც არ არის.
მაგრამ ლიქენი?

II

საკუთარ თავს აღწერს ლიქენი,
ჩაენერება, იდუმალი
ანბანით წერს
სიტყვაუხვ დუმილს:
Graphis scripta.

III

ის დედამიწის
ნელიადი უწყებაა,
ეს უწყება არასდროს მოდის:
ის ყველგან უკვე-მოსულია,
თუნდაც ცეცხლოვან მინაზე და
საფლავის ქვებზე.

IV

“ვის შეგიძლიათ ამის წაკითხვა!”
ამ გამხმარ ფილტვზე

² *Graphis scripta*: ლიქენწერილი. “ვის შეგიძლიათ ამის წაკითხვა!”: ბიუხნერის *კოი-ცეკი*-დან, ექიმის სცენაში. წითლად ფერილი იისფერი და ატმისფერი: საღებავი ფერები, რომლებიც ლიქენიდან იქნა მიღებული. მანანა: “ისრაელიტელების მიერ უდაბნოში ნაგემი მ. არაბეთსა და ძირითადად სინასთან გავრცელებული ბუჩქი-დან, *Tamarix mannifera* Ehrbg. (იხ. *Tamarix*) უნდა წარმომავლობდეს; მაგრამ სავარაუდოა ისიც, რომ ბიბლიაში ნახსენები ეს მ. სამხრეთ აფრიკისა და წინა აზიის უდაბურ ადგილებში გავრცელებული მანანლიქენი (იხ. *Spaerithallia*) იყო.” (ბროკ-ჰაუსი, მეთოთხმეტე გამოცემა.) (ავტორი)

უფრო იოლად იშიფრება
ძველი სიბრძნე, პაპირუსი,
სილუეტური პორტრეტი, ტვინი.

V

უიარალოდ
იბრძვის იგი სიცოცხლისთვის
და არ მარცხდება.
(მე მას თქვენც გამჩნევთ:
არკი გჯერათ,
რასაც მე ვამბობ.)

VI

არ მოხდება, ლიქენმა რომ წაიბორძიკოს.
არ ცუდდება მისი ნალვანი.
გავიგე, განასაზოგადოვა
მან, ხოტბის ღირსმა კომუნისტმა ქალმა,
თავისი სანარმოო საშუალებები.

VII

ამ ჩვენი არეულობებით ყელამდე სავსეს
ხშირად მწყურია,
თვალი ვკიდო ლიქენის იერს.
დამიდგით მთა და
დაგანახებთ, რასაც ვგულისხმობ.

VIII

ისლანდიურო ხვიფლო, ჭადარავ,
ჩვენს საოჯახო აფთიაქში
ვინ შემოგაგდო?

აუღელვებლად გვეხმარები,
სისხლს რომ ვახველებთ.

IX

იტყვი, რა უნდა, რას მიელტვის,
რა ლიქენი აიხირაო?
ახლა დადგეს და ხვიფლი ცოხნოს,
ჩვენ დრო არ გვაქვსო.

X

აი, ლიქენს კი
დრო ბევრი აქვს,
ათასწლოვანი
თქვენს ფეხქვეშ რომ წევს,
ბარბაროსას ქუსლმაც
ტკეპნა, მაგრამ ლიქენს
მისი ქუსლი სათვალავშიც არ ჩაუგდია.

XI

მხედართა სასტიკ
ბრძოლებს როდი შეუღებავთ
ძონისფერი ხვიფლი ძონისფრად,
ის მაშინაც ასეთი იყო.

XII

უსისხლო ფილტვი, ჟანგისფერი,
ზაფრანისფერი, მარჯნისფერი, ფორთოხლისფერი,
წითლად ფერილი იისფერი, ატმისფერი და ჭარხლისფერი,
და ყველაფერი – რუხ ნიადაგზე,
შპიტცბერგენის კუნძულების

რუხ ნიადაგზე.

XIII

არც ერთი ჩვენი ჭეშმარიტება არ ამჟღავნებს ასეთ სიმტკიცეს.
სწორედ ლიქენი ფარავს მკვდარ მერქანს,
აგურის ღორღებს, კერპებს და ლავას,
არის ტაძრების დაქცევის და ნანგრევების ჭირისუფალი.
ჩრდილოური ირმის ხავსი,
თითქმის თეთრი, მაგრამ არა სრულიად თეთრი.

XIV

არ ვიცი, კლდეს თუ შეუძლია
ლიქენს აღუდგეს.
როდი აფეთქებს კლდეს ლიქენი,
მასზე სახლდება,
დასახლებულ ადგილად აქცევს.

XV

როგორც ვიყავით, ნიშნავდა, რომ არც რა ყოფილა.
როგორც ახლა ვართ, ნიშნავს არაფერს.
უთქმელადაც გასაგებია. როგორც
ვიქნებით სამომავლოდ,
საუცხოო იქნება ისიც,
ეჭვგარეშეა.

XVI

მაგრამ თქვენ ხომ სულ არ გჯერათ,
რასაც მე ვამბობ.
რაო, ბეჯითად ჯერაც ისევ არ მოგიჩხრიკავთ
თქვენი ტვინი და თქვენი ნვერი?

XVII

ჰო, მართლა, ჩვენი ეს ლიქენი,
ლამის არის,
გადაგვავიწყდა.
ნათლისლიქენო, მზიურო ხვიფლო,
დარჩიჩვენთან,
შენ, დიადო მესსიერებავ.

XVIII

ზეციტმოვლენილ მანანაზე ვოცნებობთ ყველა.
მაგრამ მანანა ვინ გააჩინა?
ეს მცირედთა ცოდნაა მხოლოდ.
სწორედ ლიქენმა.

XIX

საუცხოო-მეთქი, წარმოვთქვი.
ჯერჯერობით კი, ნათელია,
ჩვენი მზადყოფნა ლიქენისას
ვერ შეედრება.
უთქმელადაც გასაგებია.

XX

მე არ ვიცი მანანას გემო.
თუმც, საუცხოო რომ იქნება,
ექვგარეშეა.

ჩრდილსამეუფო

I

მე აქ კიდევ ერთ ადგილს ვხედავ,
თავისუფალ ადგილს,
აქ, ჩრდილში.

II

და ეს ჩრდილი
არ იყიდება.

III

ზღვაც
მიმოიფენს ჩრდილს, შესაძლოა,
დროც მიმოიფენს.

IV

ჩრდილთა ომები
თამაშებია:
არც ერთი ჩრდილი
მეორე ჩრდილს ნათელში არ გამოუჩნდება.

V

ჩრდილში მცხოვრების
მოკვლა ძნელია.

VI

მცირე ხნით
ჩემს ჩრდილს დავუტევებ,
მხოლოდ მცირე ხნით.

VII

ვისაც სურს შუქი ისეთი ნახოს
როგორიც არის
უკან უნდა დაიხიოს
და ჩრდილს შეუდგეს.

IX

ჩრდილი
ამ მზეზე უფრო ნათელი:
გრილი ჩრდილი თავისუფლების.

X

ჩემი ჩრდილი
ჩრდილში სრულად უჩინარდება.

XI

ჩრდილში
ჯერაც არის ადგილი.

სილუეტი

ვხატავ თოვლს.
ვხატავ დაჟინებით
ვხატავ შვეულად
დიდი ფუნჯით
თოვლს
ამ თეთრ გვერდზე.

და ვხატავ მინას.
ვხატავ მინის
ჩრდილს, ვხატავ ღამეს.
არ მძინავს.
ვხატავ,
ასე ვხატავ მე მთელი ღამე.

თოვლი აცვივა
შვეულად და დაჟინებით,
რასაც მე ვხატავ.
დიდი ჩრდილი
დაეცემა
ჩემივ სილუეტს.

ამ სილუეტზე
ვხატავ
ღამის
დიდი ფუნჯით
ჯიუტად ვხატავ
ჩემს ერთ ბენო ჩრდილს.

ხელახალი აღზრდის სირთულეთა გამო

მართლაც რომ უბადლოა
ყველა ეს დიდი გეგმა:
ოქროს საუკუნე
ღვთაებრივი მეუფება დედამინაზე
სახელმწიფოს გადაშენება.
ყველაფერი რა თვალსაჩინოა.

ოღონდ, ხალხი რომ არ არსებობდეს!
ხალხი ყოველთვის და ყველგან ხელისშემშლელია.
ხალხია ერთმანეთში ყველაფრის ამრევი.

საქმე კაცობრიობის გათავისუფლებას ეხება
ისინი კი დალაქთან გარბიან.
იმის ნაცვლად რომ შთაგონებულები ავანგარდს ცუნცულით აედევნონ
ამბობენ: კარგი იქნებოდა ახლა კათხა ლუდი.
იმის ნაცვლად რომ სამართლიანი საქმისთვის იბრძოლონ
ისინი ვენების გაგანიერებას და წითელას ებრძვიან.
გადამწყვეტ წამს
ისინი საფოსტო ყუთს ან საწოლს დაეძებენ.
ათასწლიანი მეუფების დადგომამდე ცოტა ხნით ადრე
ისინი ჩვრების გამოხარშვით დასაქმებულან.

ყველაფერი იმსხვრევა ხალხის გადამკიდე.
შეუძლებელია მათთან ერთად სახელმწიფოს შექმნა.
ერთი ტომარა რწყილიც კი არაფერია მათთან შედარებით.

წვრილბურჟუაზიული მერყეობა!
მომხმარებელ-იდოტები!

წარსულის გადმონაშთები!

არადა, ხომ ვერ ამოხოცავ!

ხომ არ შეიძლება მთელი დღეების განმავლობაში არწმუნო ისინი!

არადა, ხალხი რომ არ არსებობდეს

უკვე ყველაფერს სხვა სახე ექნებოდა.

აი, ხალხი რომ არ არსებობდეს

ყველაფერი თვალისდახამხამებაში შეიცვლებოდა.

აი, ხალხი რომ არ არსებობდეს!

აი, მაშინ!

(ჰოდა, არც მე შეგანუხებდით მაშინ ამ ყველაფრით.)

სიმღერა იმაზე რაც ყველაფერს ეხება და რაც უკვე ვიცით

რაღაც რომ უნდა ვიღონოთ და თანაც ახლავე
ჩვენ ეს უკვე ვიცით
მაგრამ ჯერაც რომ ადრეა რაღაც რომ ვიღონოთ
მაგრამ უკვე გვიან რომ არის რაღაც რომ ვიღონოთ
ჩვენ ეს უკვე ვიცით

და რომ კარგად ვართ
და რომ ყოველთვის კარგად ვიქნებით
და რომ ამას არავითარი მიზანი არა აქვს
ჩვენ ეს უკვე ვიცით

და რომ დამნაშავე ვართ
და რომ არაფერ შუაში ვართ დამნაშავე რომ ვართ
და რომ დამნაშავე ვართ იმიტომ რომ არაფერ შუაში ვართ
და რომ ჩვენ ეს გვაკმაყოფილებს
ჩვენ ეს უკვე ვიცით

და რომ იქნებ უკეთესი ყოფილიყო პირი დაგვემუნა
და რომ ვერ დავმუნავთ
ჩვენ ეს უკვე ვიცით
ჩვენ ეს უკვე ვიცით

და რომ ვერავის დავეხმარებით
და რომ ვერავინ დავეხმარება
ჩვენ ეს უკვე ვიცით

და რომ ჩვენ ნიჭიერნი ვართ
და რომ არჩევანი ჩვენზეა არაფერს და კვლავ არაფერს შორის

და რომ ჩვენ ეს პრობლემა საფუძვლიანად უნდა გავაანალიზოთ
და რომ ჩვენ ჩაიში ორი ნატეხი შაქარი უნდა ჩავაგდოთ
ჩვენ ეს უკვე ვიცით

და რომ ჩვენ ჩაგვრის წინააღმდეგი ვართ
და სიგარეტი რომ ძვირდება
ჩვენ ეს უკვე ვიცით

და რომ ჩვენ ამას ყოველთვის წინასწარ ვჭვრეტთ
და რომ ჩვენ ყოველთვის მართლები აღმოვჩნდებით
და რომ ამას აზრი არ ექნება
ჩვენ ეს უკვე ვიცით

და რომ ეს ყველაფერი მართალია
ჩვენ ეს უკვე ვიცით

და რომ ეს ყველაფერი სიცრუეა
ჩვენ ეს უკვე ვიცით

და რომ არის ეს ყველაფერი
ჩვენ ეს უკვე ვიცით

და რომ დათმენა არათუ ყველაფერი არ არის არამედ საერთოდაც
არაფერია
ჩვენ ეს უკვე ვიცით

და რომ ჩვენ ამას დავითმენთ
ჩვენ ეს უკვე ვიცით

და რომ ეს ყველაფერი სულაც არ არის ახალი

და რომ ცხოვრება მშვენიერია

ჩვენ ეს უკვე ვიცით

ჩვენ ეს უკვე ვიცით

ჩვენ ეს უკვე ვიცით

და რომ ჩვენ ეს უკვე ვიცით

ჩვენ ეს უკვე ვიცით

ჰანს მაგნუს ენცენსბერგერი

ესსეები

მეცნიერების პოეზია

მათემატიკა იდეების პოეზიაა.

არმან ბორელი

1

Chacun deviant idiot à sa façon – ყველა თავისებურად წარმოაჩენს თავს იდიოტად. ეს ფრაზა ეკუთვნის პეტერ ესტერჰაზის, კეთილშობილი გვარის შთამომავალს, ვინც საკუთარი გამონათქვამი თავისივე ცხოვრებით საუკეთესოდ დაასაბუთა: თავიდან მათემატიკოსად მოგვევლინა, მოგვიანებით – ფეხბურთელად, ბოლოს კი – ცნობილ რომანისტად. სავარაუდოდ, მან ამით მეთვრამეტე საუკუნეში კლასიკად ქცეული შეურაცხმყოფელი ფრაზა იგულისხმა. იმხანად აკადემიკოსები პაექრობისას ერთურთს, არც თუ იშვიათად, *idiot savant*-ს³ უწოდებდნენ. დღესდღეობითაც კი, ნებისმიერ მეცნიერს ერთი ან ორი კოლეგა მაინც ეგულება ისეთი, ვისაც, მისი აზრით, ეს ეპითეტი შეეფერება. პროფესიონალ იდიოტთა ამგვარი მოზღვაგება მეცნიერებათა ვინრო სპეციალიზაციის გარდუვალი შედეგი უნდა იყოს. თვით ამა თუ იმ დარგის ფარგლებშიც კი სულ უფრო რთულდება ურთიერთგაგების შენარჩუნება. ძნელად თუ გაბედავს ვინმე იმის მტკიცებას, რომ იცის, თუ რა ეტაპზეა კვლევა ზუსტი მეცნიერების ყველა სფეროში. ინტერდისციპლინარობის შესახებ ყბადაღებული საუბარიც ვერ აგვიხვევს თვალს, როცა ცოდნის შეძენა პირდაპირ უკავშირდება სიჩლუნგეს.

ამიტომაც აღარ გვაკვირვებს, რომ – უკვე რა ხანია – აღარავინ ლაპარაკობს ჰუმანიტარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საერთო ჰორიზონტის შესახებ, რომ აღარაფერი ვთქვათ ხელოვნებაზე. ორი კულტურის შესახებ პ. კ. სნოუს ცნობილმა თეზამ დროის გამოცდას ვერ გაუძლო. დღევანდელი მზარდი მრავალფეროვნების ფონზე ასეთივე წარმატებით

³ „იდიოტი მეცნიერი“ (ფრანგ.).

შეგვიძლია ვილაპარაკოთ სამი, ხუთი ან სულაც ასი კულტურის შესახებ. ამ ბაბილონური პლურალიზმის პირობებში ინგლისელი ფიზიკოსისა და რომანისტის მიერ 1959 წელს გამოთქმული წინასწარმეტყველება ოპტიმისტურადაც კი ჟღერს.

2

Idiot savant-ის ანუ „იდიოტი მეცნიერის“ ფიგურა წარმოუდგენელია მისი ტყუპისცალის გარეშე, რომელიც ლამის მასზე უფრო ხშირ მოვლენად გვევლინება. *Idiot lettré*⁴ ისეთი კატეგორიაა, ჰუმანიტართა, ხელოვანთა და მწერალთა წრეებში რომ იკიდებს ფეხს და, თავისი შეზღუდულობის ხარჯზე, თავს საკუთარ ორეულზე უფრო ლაღადაც კი გრძნობს. როგორც ცნობილია, ყოველი ჩვენგანი დედამიწის ზურგზე ყველგან უცხოელია და, ზუსტად ასევე, ცოდნის ყველა სფეროში სანახევროდ ან მთლიანად უნიგნურნი ვართ. ერთია ამ ფაქტის აღიარება და სულ სხვაა – იამაყო უმეცრების ამგვარი მდგომარეობით. შექსპირის ისეთი მკვლევარი, ერთხელაც რომ არ გადაუფურცლავს დარვინი, მხატვარი, რომელსაც რთული რიცხვების ხსენებისთანავე თვალეში უბნელდება, ფსიქონალიტიკოსი, რომელმაც არაფერი იცის მწერების კვლევის უახლეს შედეგებზე, და პოეტი, რომელსაც ნევროლოგაში მოხსენების მოსმენის დროს უსათუოდ ძილი ერევა, – რა უნებლიეთ კომიკური ფიგურები არიან, საკუთარი ძალისხმევით რა ახლოს მისულან სრულ გამოტვინებასთან!

3

ცხადია, ყოველთვის ასე არ იყო საქმე. ამის სახილველად ისტორიის საფუძვლიანი ცოდნა არ არის საჭირო. არანაირ საიდუმლოს არ წარმოადგენს ის, რომ ფილოსოფია, პოეზია და მეცნიერება თავდაპირველად ერთურთის გვერდიგვერდ თანაარსებობდნენ. მათი საერთო ძირი მითოსია. ასტრონ-

⁴ „იდიოტი ლიტერატორი“ (ფრანგ.).

ომია თავის ჩანასახში მაგიურ პრაქტიკას წარმოადგენდა და უშუალოდ უკავშირდებოდა ასტროლოგიას. სწორედ სოკრატემდელმა ფილოსოფოსებმა ჩაუყარეს საფუძველი ფიზიკას ევროპაში. ემპედოკლე პოეტური კოსმოლოგიის ავტორია; ხოლო პითაგორა სამოსელი, ვისი წყალობითაც მათემატიკა ლეგენდარული ნახტომებით განვითარდა, მისტიკოსი გახლდათ.

მსგავსი რამ შეიძლება ითქვას ინდოეთში მეცნიერებათა ჩამოყალიბების შესახებაც. სულვასუტრას საკრალური მათემატიკა ქრისტეს დაბადებამდე პირველ ათასწლეულში შეიქმნა. ასევე, განუყოფელი იყო ერთურთისგან ფილოსოფია, პოეზია და მეცნიერება მესოპოტამიაში, ეგვიპტესა და ჩინეთში.

4

თავის ვრცელ დიდაქტიკურ პოემაში *De rerum natura* ლუკრეციუსმა მოიცვა თავისი დროის მეცნიერებათა მთელი ჰორიზონტი. იტალო კალვინოს თქმით, მას სურდა „მატერიისადმი მიეძღვნა ლექსი, მაგრამ იმთავითვე მიგვანიშნა იმაზე, რომ მატერიის რეალური არსი უამრავი უხილავი ნაწილაკისგან შედგება. ის ფიზიკური კონკრეტულობის მეხოტბეა, მისი მყარი უცვლელობისა, და, ამავე დროს, იგი პირველია, ვინც გვამცნობს, რომ სიცარიელე მყარ სხეულებზე არანაკლებ კონკრეტულია... თვით მექანიკის იმ უმკაცრესი კანონების ჩამოყალიბების დროსაც კი, ნებისმიერ მოვლენას რომ განაპირობებენ, ის თავს ვალდებულად თვლის, ატომებს სწორი ხაზიდან გაუთვალისწინებელი გადახვევის უფლება შეუნარჩუნოს, ასე რომ, როგორც მატერიას, ისე – ადამიანს, თავისუფლება უზრუნველყოფილი აქვთ. მაშასადამე, უხილავის პოეზია, უსასრულო გაუთვალისწინებელ შესაძლებლობათა პოეზია, ისევე, როგორც არარას პოეზია, სწორედ იმ პოეტის შექმნილია, ვისაც სამყაროს კონკრეტულობაში ეჭვი არ ეპარება.“

უძველეს მოაზროვნეთა მიერ დაარსებულმა დიდაქტიკური ლექსის ტრადიციამ შუა საუკუნეებს გაუძლო და რენესანსის ეპოქაში ახალ გაფურჩქვნას მიაღწია. ამ ეპოქის პოეტები, მხატვრები, არქიტექტორები თუ ფილოსოფოსები ხარბად დაენაფნენ თავიანთ თანამედროვეთა მეცნიერულ კვლევებს. ეს ინტერესი, როგორც კარდანოს, დიურერისა თუ ლეონარდოს შემთხვევაში, ხშირად უმჭიდროესად იყო გადახლართული შემოქმედებით საქმიანობასთან. ჯორდანო ბრუნო და სირანო დე ბერჟერაკი არ სცნობდნენ ზღვარს პოეზიასა და მეცნიერებას შორის. მეთვრამეტე საუკუნის შუა ხანებამდე ამ საზღვრის შესახებ ლაპარაკიც კი არ ყოფილა. თავის მონუმენტურ ენციკლოპედიაზე სამუშაოდ დიდრომ მათემატიკოს დ'ალამბერტთან წამოიწყო უაღრესად ნაყოფიერი თანამშრომლობა. ლიხტენბერგი, ვისაც, სხვათა შორის, ფოტოასლის გამოგონებას უნდა ვუმადლოდეთ, მნიშვნელოვანი ფიზიკოსი გახლდათ, ხოლო გოეთე დიდი გზებით შეისწავლიდა გეოლოგიის, ბოტანიკისა და ფიზიოლოგიის საკითხებს, სულ რომ არაფერი ვთქვათ მის იმ ახირებულ წამოწყებაზე, რომლის შედეგადაც მივიღეთ „მოძღვრება ფერთა შესახებ“. ერთ-ერთი უკანასკნელი მნიშვნელოვანი დიდაქტიკური ლექსი გახლავთ დაუმთავრებელი „მცენარეთა გარდასახვა“. რომანტიკოსებისთვისაც ჯერაც უცხო იყო სამეცნიერო და ლიტერატურულ სფეროთა მკვეთრი გამიჯნვა. რიტერი, კარუ და შამისო თავადვე მეცნიერული კვლევებით იყვნენ დაკავებული, ხოლო ფრიდრიხ ფონ ჰარდენბერგის „ზოგადი მონახაზი“ მოწმობს ავტორის ფართო განსწავლულობაზე მათემატიკის, ქიმიის, ფსიქიატრიისა და ბიოლოგიის სფეროებში.

ეს ყოველივე იმის მანიშნებელია, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ სფეროთა შორის დიდი განხეთქილება მეცხრამეტე საუკუნის ძალზე სიმპტომატური აღმოჩენა უნდა ყოფი-

ლიყო. შემეცნების მზარდი სპეციალიზება და საუნივერსიტეტო სისტემაში მისი დაკაპსულება, სამეცნიერო ჟარგონების წარმოშობა და პოზიტივიზმის გამარჯვება ამ განვითარების სიმპტომებია და, იმავდროულად, მისი გამომწვევი მიზეზებიც. მრავალი ბუნებისმეტყველის სწრაფვა ვინრო ჩარჩოებით შემოფარგლვისკენ, რასაც, არც თუ იშვიათად, გარკვეული მედიდურობაც ახლავს თან, ხელოვანთა და კულტურის მესვეურთა მხრიდან ბუნებრივად იწვევს საპასუხო ალერგიულ შეტევებს. ინტელიგენციის ოჯახში ეს ძმათა შუღლი უკვე რახანია მიმდინარეობს და, როგორც წესი, ორივე მხარის მტრული განწყობა ერთმანეთს კვებავს და ამძაფრებს. *Idiot savant*-სა და *idiot lettré*-ს ერთმანეთთან ბევრად უფრო მეტი აქვთ საერთო, ვიდრე მათ ეს თავად ჰგონიათ.

7

რა გასაკვირია, თუკი ამგვარ ვითარებაში დიდაქტიკური ლექსის ტრადიცია, ფაქტობრივად, სრულებით ჩაკვდა, რითაც, იქნებ, უპირველეს ყოვლისა, ლიტერატურამ იზარალა. მისი ეპიტაფია ფლობერის კალამს ეკუთვნის. და მას „ბუვარი და პეკიუშე“ ეწოდება. ეს უაღრესად ირონიული ენციკლოპედიური პროზაული პროექტი ხსენებულ კულტურულ განხეთქილებას ძალზე უღმობლად ასახავს. ფინალი ისეთ გლობალურ მარცხს გვიჩვენებს, არც ერთ მხარეს რომ არ ინდობს, რადგან ფლობერის ბედკრული პერსონაჟები ორივე პოლუსზე მდგარ იდიოტებს განასახიერებენ. „ამგვარად, ყველაფერი ხელში ჩაეფშვნათ“. მათი მგზნებარე მცდელობების შორეულ ექოდ ჩაგვესმის გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების სოკალის გახმაურებული საქმე; დაახლოებით, მსგავსი მასშტაბის მარცხი, დეკონსტრუქციის ბალაგანში არაერთი ველური შეძახილი რომ გამოიწვია.

სავსებით შეგვიძლია, მეცხრამეტე საუკუნე ამ თვალსაზრისითაც დასრულებულად ჩავთვალოთ. თავიდან შეუმჩნევლად, შემდეგ კი სულ უფრო თვალში საცემად გადაიშალა ახალი ფურცელი. ისახება ზღვართა გადაკვეთის ახალი მიმართულებანი. იქნებ, ლიტერატურას მოუწიოს იმ მეცნიერული სიმუნჯიდან გათავისუფლება, რაც საკუთარ თავს თავადვე შეამთხვია. ერთ-ერთი პირველი იმათგან, ვინც *idiot lettré*-ს როლს ვერ შეურიგდა, რაიმონ კენო იყო. მან არა მხოლოდ გამოაქვეყნა, „პლუადის“ სახით, სამეცნიერო ენციკლოპედია, არა მხოლოდ დაწერა წიგნი უახლესი მათემატიკის შესახებ („ნაპირები“, 1963); მას, ასევე, ეკუთვნის „ჯიბის მცირე კოსმოლოგია“ (1950) და კომბინატორული მოდელის მიხედვით შექმნილი ლექსი („ასი მილიარდი ლექსი“, 1961). პროფესიით ქიმიკოსის, პრიმო ლევის, შემოქმედებაში ბუნებისმეტყველება ცენტრალურ როლს თამაშობს. სტანისლავ ლემის „ტექნოლოგიის ჯამი“ (1963) ინფორმატიკისა და კოსმოლოგიის ღრმა ცოდნის გარდა გასაოცარ ინტუიციურ წინასწარმეტყველებებსაც შეიცავს. შეუძლებელია თომას პინჩონის „გრაფიტაციის ცისარტყელა“ (1973, გერმანულად თარგმნილია სათაურით „იგავის დასასრული“) გავიაზროთ ავტორისეული პოლიისტორიული ამბიციის გარეშე, ამ სფეროში კვლევის აქტუალურ შედეგებსაც რომ მოიცავს.

ზოგიერთი ლირიკოსიც კი უკვე გათავისუფლდა მეცხრამეტე საუკუნის სქემებისგან და აღიარა, რომ პოეზია შეიძლება შეეხოს ყველაფერს, რასაც კი ადგილი აქვს ამ სამყაროში. ის სულელური ცრურწმენა, ვითომდა პოეზია მხოლოდ გრძნობათა გადმოსაცემად იყოს განკუთვნილი, ასევე მეცხრამეტე საუკუნიდან მოგვთრევს. დღეს სულ უფრო მეტი პოეტი ახდენს საკუთარ ტექსტებში მეცნიერულ იდეათა თემატიზებას. ინგერ ქრისტენსენი, შესაძლოა, თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი დანიელი პოეტი, თავის

ეპიკურ „ანბანს“ (1981, ორენოვანი, დანიურ-გერმანული გამოცემა) რიცხვ-
თა თეორიისა და კომბინატორული ანალიზის საკითხებს უძღვნის; უფრო
კონკრეტულად კი, ეს ლექსი ფიბონაჩის შედეგზეა დაფუძნებული. დურს
გრიუნბაინის შემოქმედებაში დიდ როლს ფიზიოლოგია და ნევროლოგია
თამაშობს, ხოლო ბრიტანელი ავტორი ლავინია გრინლო შემოქმედებით
აღმაფრენას ბიოლოგიის, კომუნიკაციის თეორიისა და მეცნიერებათა ის-
ტორიიდან იღებს. აი, ამგვარი მრავალფეროვანი გავლენების რამოდენიმე
მაგალითი:

10

ლარს გუსტავსონი, „დისკუსიები“

აკუსტიკის ძველი სახელმძღვანელოები
გვირჩევენ უცნაურ ექსპერიმენტებს:

უნდა მოვთავსდეთ აბსოლუტურად სიმეტრიულ ეზოში
ყოველი მხრიდან შემოსაზღვრულში გალავნებით
რომლებიც მართი კუთხით დგანან ერთურთის მიმართ
შემდეგ ამოვირჩიოთ ერთი კუთხე
და გავისროლოთ პისტოლეტი.

აღმოჩნდება ერთი წერტილი, სადაც გასროლის ხმა არ ისმის.

შენ მიაღწიე აკუსტიკურ კვანძს:
თვალი მას ვერ აღიქვამს.

ტბის სრულიად გლუვი ზედაპირის ირგვლივ
გარკვეული კუთხით
და გარკვეულ რიტმში

უნდა განვათავსოთ სამი პიროვნება
რომლებიც ერთმანეთს გასძახებენ „აქ ვარ“.
დიდი ხანი არ გავა, რომ გვიგონებთ „აქ ვარ, აქ ვარ, აქ ვარ“
ყველა მხრიდან, უწყვეტად,
და ვერც ერთი საკუთარ ხმას ვერ გაარჩევს
სხვათა ხმებისაგან.

რა საამო მონაცვლეობითი ჟღერადობაა!

და პატარა ელექტრულ საათსაც თუ
მოვათავსებთ მინის ჭურჭელში
საიდანაც ჰაერს ამოვტუმბავთ
მის ნიკნიკს უკვე ვეღარ გავიგონებთ.

ამრიგად, დასტურდება ეჭვი,
რომ მედიუმში სანდო არ არის,
რომ მას შეუძლია თავის ჭკუაზე იმოქმედოს.

თავის ჭკუაზე, თავის ჭკუაზე.

დრო, რომელიც კიდევ რჩება, მუდამ ძალზე მოკლეა.
მხოლოდ ის, ვინც ძალიან მარტოსულია, გამოსცემს მჟღერ ხმებს.
ერთობ ცივი ზამთარია. ყველა ნავი ყინულშია ჩაქვავებული.

კრიალა ამინდში კი - ციგურები, წითელი ციგურები,
ისეთი ხმით, როგორსაც პატარა საათები გამოსცემენ,
მინის „ჰერმეტიკული ზარის“ ქვეშ.

ჩუ, ვიღაც ლაპარაკობს. ვისი ხმაა, შენი თუ - ჩემი?

ექო, მომხიბლავი ნიმფა დასახიჩრებული ხმით!

11

ალბერო ბლანკო, „ევოლუციის თეორია“

რალაც რალაცისგან რომ გამომდინარეობს,
ამის სანვდომად არ გვჭირდება არც გამოთვლა და არც
რამენაირი თეორიები.

ცლილებების უსასრულო ქსელში
არსებები რომ არსებობენ, რომლებიც სხვა არსებებისგან წარმოიშვნენ,
იმდენად თვალსაჩინოა, რომ საკუთარ თავს ვეკითხებით:
როგორ მოხდა, რომ კიდევ არსებობენ ადამიანები,
რომლებსაც ჯერ კიდევ აეჭვებთ ევოლუციის თეორია?

„ადამიანი“, ამბობს შექსპირი,
და მილტონი იმეორებს ამას, „შედევრია“.
მაგრამ როცა ვხედავთ, ღრუბელი როგორ გარდაისახება
წვიმად, წვიმა - სეტყვად,
სეტყვა კი - ტალახად,
მაშინ სერიოზულად ვინყებთ ყველაფერში ეჭვის შეტანას.

12

მიროსლავ ჰოლუბი, „შორი ღმუილი“

1885 წლის 6 ივლისს
ელზასში ცოფიანი ძაღლი
თავს დაესხა ცხრა წლის იოზეფ მაისტერს

50

და თოთხმეტი ნაკბენი დაუტოვა.

მაისტერი პირველი პაციენტი იყო,
ვისი გადარჩენაც შეძლო პასტერმა
თავისი შრატით,
დასუსტებული ვირუსის
ცამეტმაგი დოზით.

პასტერი ათი წლის შემდგომ
ტვინში სისხლის ჩაქცევით გარდაიცვალა.
მაისტერმა კარისკაცად დაიწყო მუშაობა
პასტერის ინსტიტუტში.

ორმოცდათხუთმეტი წლის ასაკში
მან თავი მოიკლა და მთელი ხროვა
საბრალო ძაღლებისა დახოცა,
როცა გერმანელები თავს დაესხნენ.

მხოლოდ ვირუსი გადარჩა.

13

ვინ იცის, რამდენს გვპირდება მომავალში პოეზიისა და მეცნიერების ამგვარი შეხვედრები? შემთხვევით ურთიერთობებთან გვაქვს აქ საქმე თუ ეს მართლაც *idiot lettré*-სთან გამოთხოვებისა და ინტელექტუალურ პოეზიასთან დაბრუნების მომასწავებელია? გავლენის სფეროებზე ოდნავი თვალის შევლებაც კი კმარა, რათა სკეპსისი მოგვეძალოს. დღეს პოეზია მეორეხარისხოვანი მედიუმია, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს კი კულტურულ სფეროში უზენაესი ძალაუფლება დაუპყრიათ. ამ გაგებით, ზემოთ ნა-

ხსენები ურთიერთგადაკვეთის ნებისმიერი მაგალითი უთანასწორო თამაშის შთაბეჭდილებას გვიტოვებს.

და მაინც, ამგვარი დასკვნა ნაადრევი, ცალსახა და ზედაპირულია. უნდა ვაღიაროთ, რომ პოეტები, რომლებიც მეცნიერებისადმი ღრმა ინტერესს ამჟღავნებენ, მხოლოდ მარგინალურ როლს თამაშობენ. საქმე სრულიად სხვაგვარად გამოიყურება, თუკი პერსპექტივას შემოვაბრუნებთ და პოეზიაში მეცნიერების ძეხვის ნაცვლად მეცნიერებაში ვეძიებთ პოეზიას.

14

რიცხვთა თეორიის დიდი ინგლისელი მკვლევარი გ. ჰ. ჰარდი, ვიზუალურ ვერაფრით ვიტყვი, „რბილი“ მეცნიერების მიმდევარიაო, თავის წიგნში „მათემატიკოსის აპოლოგია“ (1967) მოგვითხრობს თავისი სტუმრობის შესახებ მეგობარ გენეტიკოსთან, სტივ ჯონსთან, რომელსაც აშკარად ეტყობა, რომ ლიტერატურაშია გათვითცნობიერებული; ამის ვარაუდის საფუძველს ის გვაძლევს, რომ იგი სემუელ ტეილორ კოლრიჯისეულ ციტატას წარმოთქვამს, ინგლისელი რომანტიკოსი პოეტისა, რომელიც სამეფო ინსტიტუტში ქიმიის ლექციების კურსს ესწრებოდა. როცა მას ჰკითხეს, თუ რისთვის აკეთებდა ამას, კოლრიჯმა მიუგო: „იმისთვის, რომ მეტაფორების მარაგი გავიმდიდრო“. ამასთან დაკავშირებით ჰარდი შენიშნავს: „ჯონსს, როგორც ჩანს, გულზე არ ეხატებოდა მეცნიერული ცოდნის ამგვარი გამოყენება; უფრო დამაჯერებელ მიზეზს ითხოვდა. მეორე მხრივ: რაღა იქნებოდა მეცნიერება მეტაფორების გარეშე?“

მართლაც, მეცნიერებაში თხრობა – ხოლო მეცნიერული პროცესი არ არსებობს სიტყვიერი გადმოცემის გარეშე – მუდამ მეტაფორულ მეტყველებას ეყრდნობა. ლაიბნიცით დანყებული და ვენის წრით დამთავრებული, ლოგიკოსთა ყველა მცდელობა, მეცნიერება შიშველ ფორმულებამდე დაეყვანათ, საბოლოოდ მარცხით დასრულდა. ბუნებრივი მეტყველება ყოვლად შეუცვლელი და, ამავე დროს, მოქნილი მედიუმი გამოდგა. და სწორედ მისი გამოყენებისას თანამედროვეობის მათემატიკოსებმა და ბუნებისმეტყველ-

ებმა საკუთარ კონცეპციათა, აღმოჩენათა თუ ვარაუდთა გადმოცემის გასაოცარი უნარი გამოავლინეს. მათ მიერ შექმნილი მეტაფორები შესაშურ პოეტურ ნიჭზე მეტყველებს.

15

ასტრონომიაში, კოსმოლოგიასა და ფიზიკაში ვხვდებით ისეთ მოვლენებს, როგორებიცაა: ჩირალდნები, ლაქების კერები, გვირგვინები, მზის ქარები, ზოდიაქოთა ნათება, გალაქტიკური შრიალი, მუხრუჭის გამოსხივება, წინარე აფეთქება, მუხის მინდვრები (საზომი ველები), შავი ხვრელები (ამ ტერმინის შექმნას ჯ. ა. უილერს უნდა ვუმადლოდეთ), სიბნელის ღრუბლები, აკრძალული ხაზები, წითელი გოლიათები, თეთრი ჯუჯები, რენტგენული აფეთქებები, პულსატორი პლანეტები, ჯუჯა გალაქტიკები, ბურთულების გროვები, სპირალური ნისლი, ჭიის სოროები, შავი გამოსხივება, თეთრი შრიალი, ბანარი და ზე-ბანარი, გამრუდებული სივრცე, გადახლართული განზომილებები, ხელმისაწვდომობა, პარტიკულარული (ნაწილაკობრივი) ოჯახები, წყვილი განადგურება, კლაუსტროფობული ნაწილაკები, გაუცხოება, კვანტური გვირაბები, კვანტური ქაფი და კვარკები (ტერმინი, შექმნილი მიურეი გელ-მანის მიერ ჯეიმს ჯოისის „ფინეგანის ქელეხის“ მიხედვით. ერთურთისგან ასხვავებენ უცხო, ზედა, ქვედა, მაგიურ, წითელ, მწვანე და ლურჯ კვარკებს).

მათემატიკა იცნობს ფესვებს, ბოჭკოებს, ჩანასახებს, კონებს, ძნებს, გარსებს, მარყუჟებს, შლეიფებს, სხივებს, დროშებს, აღმებს, ნაკვალევებს, ჯვარედინა ხუფებს, ზედა და ქვედა სხეულებს, სქესებს, ჩონჩხებს, მაქსიმალურ, ძირითად და ნულოვან იდეალებს, რგოლებს, „განდეგილებს“, „მონსტრებს“, „უგზო-უკვლოდ ხეტიალს“, გაქცევის წრფეებს; ბოლოს და ბოლოს, იცნობს გამოგონილ თავისუფალ ჯგუფებს, მრავალფეროვნებებს, ცარიელ რაოდენობებს, წინარე ხატებს, ჭიპის წერტილებს, დაღმავალ ხაზებს, ხიდის კიდევებს, მერცხლის კუდებს, ფილტრებს, ველურ კვანძებს, ნა-

წნავეების ჯგუფებს, გვირაბის რიცხვებს, კანტორის მტვერს, ჰოჯის ბრილიანტებს, სტაკებს, პეპლებსა და იხვებს...

16

ამ ნუსხის გაგრძელების ცდუნება ძალზე დიდია. ეს უსასრულობამდე შეგვიძლია ვაკეთოთ, თუკი სხვა დარგებიდანაც მოვიშველიებდით მაგალითებს. ისიც კი, ვისაც არავითარი წარმოდგენა არა აქვს ამ ტერმინების მნიშვნელობაზე, მაინც იგრძნობს, თუ რა გაბედულად იპყრობენ მეცნიერებები ახალ ენობრივ ტერიტორიებს, თანაც უდავოა, რომ ისინი ამ პროცესში პოეტურ საშუალებებს მიმართავენ.

კარლ ვაიერშტრასმა, ელიფსური ფუნქციების თეორიის ფუძემდებელმა, უკვე ასზე მეტი წლის წინ იცოდა, რომ „მათემატიკოსი, თუკი ის ოდნავ მაინც არ არის პოეტი, სრულყოფილ მათემატიკოსად ვერასდროს ჩაითვლება.“

ხოლო ნილს ბორმა კვანტური ფიზიკის შესახებ თქვა, – იგი შესანიშნავი მაგალითია იმისა, რომ ფიზიკური მოვლენების წვდომა ძალზე იოლი იქნება, მათ შესახებ მხოლოდ პოეტური ხატებისა და იგავ-სურათების მეშვეობით თუ ვილაპარაკებთო; რაკილა მისი მეცნიერება ბუნებას კი არა, იმას შეისწავლის, რისი გამოთქმაც ადამიანებს ბუნების შესახებ ძალუძთ, ლიტერატურული ხერხები ფიზიკის მნიშვნელოვან ნაწილად იქცა.

17

ესთეტიკური ხედვა არც მათემატიკისთვის, არც თეორიული ფიზიკისთვის ყოფილა ოდესმე უცხო. ოდენ დამტკიცებას არასდროს სჯერდებოდნენ; მათი საუკეთესო წარმომადგენლები ყოველთვის მოხდენილ, რომ არ ვთქვათ ნატიფ, ამოხსნებს ეძებდნენ. ამ თვალსაზრისით, მრავალი შეცოდება პოზიტივიზმის სინდისზეა. მას ქრონიკული სენი სჭირდა: არ გააჩნდა

ფანტაზია. ამ ფაქტმა შემეცნების თეორიასა და მეთოდოლოგიაზე იქონია ზეგავლენა.

ბევრი რამ მეტყველებს იმაზე, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი მალე საბოლოოდ გამოეთხოვებიან მეცხრამეტე საუკუნის დოგმებს. კლასიკური მატერიალიზმი ისევე, როგორც მისი სუბსტრატი, დაშლის პროცესშია. კოსმოლოგიასა და ნევროლოგიურ მეცნიერებებში ტაბუ აღარ ადევს ისეთ საკამათო იდეებს, რომელთა დასაბუთებაც ვერ ხერხდება ექსპერიმენტით. გიოდელიდან მოყოლებული, მათემატიკაც კი იძულებულია, თვალის გაუსწოროს თავისი წვდომის შესაძლებლობების ორაზროვნებას, ხოლო კვანტურ ფიზიკაში შეუცნობელი ყოველდღიურ, ჩვეულ მოვლენად იქცა.

Status quo-ს მეტისმეტად მგზნებარე დამცველებთან შეტაკების საფრთხის წინაშეც კი გავრისკოთ იმის მტკიცება, რომ თვით ყველაზე პერსპექტიული მეცნიერებაც სხვა არაფერია, თუ არა – მითოსის თანამედროვე ფორმა. მკვლევართა უმრავლესობისთვის შეუმჩნეველად, მათ კონცეპციებში, ახალი სახით, კვლავაც გვიბრუნდება კაცობრიობის ყველა დასაბამიერი კითხვა, ოცნება თუ კოშმარი. მათი მეტაფორები მხოლოდ ამ მითთაქმნადობის გამოხატვის საშუალებებია.

18

მეცნიერების პოეზია ზედაპირზე როდი დევს. ის მისი სიღრმეებიდან იღებს სათავეს. ძალუძს თუ არა ლიტერატურას, მისივე დონეზე შეხვდეს მეცნიერებას, – ჯერ კიდევ ღია საკითხად რჩება. ბოლოს და ბოლოს, სამყაროსთვის სულერთი უნდა იყოს ის, თუ რა წარმოშობის არის ჩვენი მოდგმის წარმოსახვითი უნარი; მთავარია, ეს უნარი შევინარჩუნოთ. რაც შეეხება პოეტებს, დაე, ეს მინიშნებები იმის მაუწყებელი იყოს, რომ მათი შემოქმედების გარეშე ეს ვერ მოხერხდება. მსგავსად დროის სადიაგნოსტიკოდ და გასაზომად გამიზნული იზოტოპისა, პოეზიაც, შეუმჩნეველი და მაინც თვალშისაცემი, როგორც კვალის ელემენტი, ყოველთვის იქ მოქმედებს, სადაც ის ყველაზე ნაკლებად გვეგულება.

წყაროები

იტალო კალვინო, „ექვსი რჩევა მომავალ ათასწლეულს“, ჰარვარდის მოხსენებები, იტალიურიდან თარგმნა ბურკჰარდ კრიობერმა, მიუნხენი, 1991.

ალან სოკალი და ჯონ ბრიკმონტი, „ზღვართა გადალახვა: კვანტური გრავიტაციის ტრანსფორმაციული ჰერმენევტიკის მიმართულებით“, გამოცემაში: „სოციალური ტექსტი“, 46/47, კემბრიჯი, ხელნაწერი, 1996; გერმანულ ენაზე: „ელეგანტური უაზრობა. როგორ ამახინჯებენ პოსტმოდერნისტი მოაზროვნეები მეცნიერებებს“, მიუნხენი, 1999.

ნილს ბორი, ჯონ კენედის მასალების მიხედვით: „ატომური მუზა. ლიტერატურა, ფიზიკა და პირველი ატომური ბომბები“, მედისონი, 2000.

ლარს გუსტაფსონი, დისკუსიები, გამოცემაში: „En resa till jordens medelpunkt och andra dikter“, სტოკჰოლმი, 1966; გერმანულად თარგმნილია ჰ. მ. ე.-ის მიერ, სათაურით „მანქანები“, მიუნხენი, 1967.

ალბერტო ბლანკო, ევოლუციის თეორია, გამოცემაში: „ნუთიერის გული“, მეხიკო, ეკონომიკური კულტურის ფონდი, 1998, გერმანული თარგმანი - ჰ. მ. ე.-ისა.

მიროსლავ ჰოლუბი, შორი ღმუილი, ინგლისური თარგმანის ხელნაწერის მიხედვით გერმანულ ენაზე თარგმნა ჰ. მ. ე.-მა.

დანართი

„თუ გავითვალისწინებთ, რომ ისეთი მკვლევარი, როგორც ჯონ ლოკია, იმავდროულად ეკონომისტიც იყო, პოლიტოლოგიც, ფილოსოფოსიც და ექიმიც და ისეთ დიდ ცოდნას ფლობდა, როგორსაც დღეს სპეციალისტთა მთელი ფლოტიც კი არ ეყოფა, მაშინ ნათელი გახდება, თუ რაოდენ დიდი ცვლილება მოხდა მას მერე... ესთეტიკა და შემეცნება ჯერაც არ წარმო-

ადგენდნენ ცალკე სფეროებს. განათლება, ხელოვნება და მეცნიერება ერთურთის გვერდიგვერდ თანაარსებობდნენ. არაფერი იყო იმაში უცნაური, რომ პიროვნება, სახელად გალილეი, თავის თხზულებებს მეფის მოხელე „სწავლულ დილეტანტს“, პაპის კურიასა და უნივერსიტეტებს უგზავნიდა. მას სურდა, მისი იდეები როგორც მეცნიერული, ისე ესთეტიკური საშუალებებით მიეტანა ადამიანებამდე... იყო თუ არა გალილეი ახალი დროის წინამორბედი გენიოსი მკვლევარი, *მიუხედავად* თავისი ლიტერატურული თუ პოლიტიკური მიდრეკილებებისა? შეუწყო თუ შეუშალა ხელი მის მიერ იუპიტერის თანამგზავრთა აღმოჩენას იმ ფაქტმა, რომ მის დროში პოეზია და მეცნიერება ჯერ კიდევ ჰარმონიულად თანაარსებობდნენ?”

ბოდო ფონ გრაიფი, „გალილეიმ დრო უქმად ხომ არ გაფლანგა?“, ჟურნალში: „შეპასუხებები. ჟურნალი შემეცნების შესახებ დისპუტისთვის“, # 7, ბერლინი, 2001.

„მეტაფორა ააშკარავებს იმ წინარე მდგომარეობას, რომელშიც ფესვი უდგას არა მხოლოდ ჩვენი გამოცდილების პირად და უქმ სფეროებს, არა მხოლოდ მოსეირნეთა და პოეტთა სამყაროებს, არამედ, აგრეთვე, თეორეტიკოსთა სპეციალიზებული ტერმინოლოგიის უცხო მჟღერ გამოხატულებებს“.

ჰანს ბლუმენბერგი, „შეუცნობლის თეორიის მიმოხილვა“.

„საბუნებისმეტყველო მეცნიერებები... ხშირად უარყოფენ ყოველგვარ მინიშნებას მეტაფორის ფუნქციაზე, წარმართოს და განაპირობოს შემეცნების პროცესი; მსგავს მინიშნებებს, საუკეთესო შემთხვევაში, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა პროპაგანდად რაცხავენ. ფიზიკაში გავრცელებულ ისეთ სურათ-ხატთა ხმარებას, როგორებიც „ტალლა“ ან „ნანოლაკია“, საყველპურო მეტყველებისთვის დამახასიათებელ დაუდევრობად მიიჩნევენ და ცდილობენ, ზუსტი ტერმინოლოგიითა და ფორმალური განსაზღვრებებით შეებრძოლონ მას. მაგრამ, იქნებ, მეტაფორული ხატები აქაც ნაყოფიერად მოქმედებს შემეცნების პროცესზე?..“

ვინ იცის, იქნებ, მეტაფორა უკანასკნელი მაკავშირებელი რგოლია ორ (სნოუ), სამ (ლეპანიე) ან, სულაც, უთვალავ (ფეიერაბენდი) მეცნიერულ კულტურას შორის? თუ ეს ასეა, იგი მათი *ingua franca* ყოფილა. ამ ვარაუდს ჯერაც ადასტურებენ კეის მსგავსი კრიტიკოსები, თავიანთი სააზროვნო კლიშეების წყალობით ახალ-ახალ საუკეთესო მეტაფორებს რომ გვანვდიან, მაგალითად: გენომი „უნდა ვიკითხოთ არა იმდენად როგორც ინსტრუქცია, რამდენადაც – როგორც ლექსი“. სხვათა შორის, საამისოდ ჯერ ახლიდან უნდა ჩამოყალიბდეს ლექსის კითხვის კულტურა.“

გერალდ ჰუბმანი, „მეტაფორის აუცილებლობის შესახებ“, ჟურნალში: „შეპასუხებები. ჟურნალი შემეცნების შესახებ დისპუტისთვის“, # 7, ბერლინი, 2001.

ლილი ე. კეი, „ვინ დანერა სიცოცხლის წიგნი: გენეტიკური კოდის ისტორია“, სტენფორდი, 2000.

ანგლოსაქსურ ლიტერატურაში გამოკვეთილ ტენდენციასთან დაკავშირებით იხილეთ აგრეთვე: მიქაელ ფრეინი, „კოპენჰაგენი“ (კვანტური ფიზიკა); მარტინ ემისი, „დროის ისარი“ (კოსმოლოგია); მარგრეტ დრებელი, „პილპილმოყრილი ფარვანა“ (გენეტიკა); ფილიპ პულმენი, „მისი ბნელი მატერიები“ (ფიზიკა); დევიდ ლოჯი, „ფიქრობს...“ (კოგნიტორული მეცნიერება). ამასთან დაკავშირებით კრიტიკოსი ჯონ ლენჩესტერი შენიშნავს: „ორმოცდამეორე წელიწადი გავიდა მას მერე, რაც ჩ. პ. სნოუმ დაიჩვილა ხელოვნებათა და მეცნიერებათა შორის ბლოკადის თაობაზე; დღეს სულ უფრო მეტად გვეჩვენება, რომ საქმე მეცნიერებასა და ხელოვნებას შორის მზარდი ოსმოსის მომსწრენი ვხდებით“. NYRB, ნიუ იორკი, 2001, #13.

**წულოვანი მედია, ანუ რატომ არის უსაბნო
ტელევიზიის მიმართ გამოთქმული ყოველგვარი საყვედური**

ტელევიზია ამტერებს: ამ მარტივ თეზისამდე დადის ერთხმად ამ ქვეყანაში გავრცელებული ყველა მედიათეორია, არა აქვს მნიშვნელობა, რამდენად დახვეწილად თუ უხეშად ხდება ამის გამოყვანა. როგორც წესი, დიაგნოზი ყოველთვის მწუხარე იერით ცხადდება. აქ გამოიყოფა ოთხი სხვადასხვა ვარიანტი.

მანიპულაციის თეზისი უმიზნებს იმ იდეოლოგიურ განზომილებას, რომელიც მედიებს მიეწერება. იგი მასში ხედავს, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკური ბატონობის ინსტრუმენტს და საკმაოდ საპატიო ასაკსაც მოითვლის. იგი, ტრადიციულად, მემარცხენეების უძველესი იარაღია, თუმცა, მემარჯვენეების მხრიდანაც სიამოვნებით გამოიყენება საჭიროების შემთხვევაში. გააჩნია იმ შინაარსებს, რომლებიც სავარაუდოდ განსაზღვრავს დიდი მედიების პროგრამებს. მათ კრიტიკას საფუძვლად უდევს პროპაგანდისა და აგიტაციის შესახებ ადრეული წლებიდან გადმოყოლილი წარმოდგენები. მედია ესმით, როგორც ისეთი ინდეფერენტული ჭურჭელი, რომელიც თავის აზრებს გადმოაფრქვევს ხოლმე თავზე პასიურ პუბლიკას. კრიტიკოსის თვალსაზრისით, ეს მოსაზრება სწორი არ არის; მათ უნდა შექმნან ზემოქმედების ამგვარი მოდელისთვის საჭირო მცდარი ცნობიერება. იდეოლოგიური კრიტიკის დახვეწილი მეთოდები აფართოებენ ამ “დაბრიყვებასთან კავშირს”, რომლის დროსაც ისინი მონინააღმდეგეს სულ უფრო და უფრო დახვეწილი და ვერაგული მიზნებით აიარალებენ. პირდაპირი აგიტაციის ადგილს იჭერს ძნელად გასაშიფრი ცდუნება; ტელევიზიის მესვეურები ისე ახერხებენ კულისებიდან გულუბრყვილო მომხმარებლის დარწმუნებას, რომ იგი ვერც კი ხვდება ამას.

გაყალბების თეზისი, ამის საპირისპიროდ, ახდენს ამის მორალურ არგუმენტაციას. მათ თვალში, მედიებით სარგებლობას, პირველ რიგში, ტრადიციებთან დაკავშირებული საფრთხეები უკავშირდება. ვინც მას დაემორ-

ჩილება, მიეჩვენება თავაშვებულობას, უპასუხისმგებლობას, დანაშაულს და ძალადობას. ამის სუბიექტური შედეგი იქნება დაჩლუნგებული, გაუხეშებული და დამყაყებული ინდივიდი, ობიექტური კი – სოციალური ღირებულებების მოშლა და საყოველთაო მორალური დეგრადაცია. ერთი შეხედვითაც კი ცხადია, რომ მედიის კრიტიკის ეს ფორმა, ძირითადად, ბურჟუაზიული წყაროდან იკვებება. ის მოტივები, რომლებიც მასში კვლავ და კვლავ მეორდება, ჯერ კიდევ მე-18 საუკუნიდან არის ცნობილი იმ ამაო გაფრთხილებების სახით, რომლებსაც უხვად გასცემდა კულტურის მაშინდელი კრიტიკა რომანების კითხვასთან დაკავშირებულ საფრთხეთა შესახებ.

შედარებით ახალია *სიმულაციის* თეზისი, რომელიც შთაგონებულია ერთი შემეცნებით-თეორიული ეჭვით. ისიც იმდენად არის უფრო თანამედროვე, რამდენადაც ეთანხმება მედიათა ტექნიკურ განვითარებას, მაშასადამე, უკვე სერიოზულად აღიქვამს ტელევიზიის არსებობასაც, რასაც ვერ ვიტყვოდით მის წინამორბედებზე. ამ თეზისის თანახმად, ტელევიზია მაყურებელს ართმევს სინამდვილესა და ფიქციას შორის განსხვავების პოვნის უნარს. მაშასადამე, პირველი რეალობა შეცვალა ან ჩაანაცვლა მეორემ, მოჩვენებითმა რეალობამ. თეზისის ეს შორსმიმავალი ვერსია, რომელიც, შემთხვევათა შესაბამისად, პოზიტიურადაც კი გვევლინება, ამ კავშირს ყირაზე აყენებს და ამტკიცებს, რომ სინამდვილესა და სიმულაციას შორის განსხვავება უკვე უაზროა არსებული საზოგადოებრივი კავშირების პირობებში.

ყველა აქამდე ჩამოთვლილი თეზისი კონვერგირდება მეოთხეში, *დაშტერების* თეზისში, რომელიც მყარ ანთროპოლოგიურ გამონათქვამად დამკვიდრდა. თუკი მას დავუჯერებთ, მედიათა შეტევის ობიექტს წარმოადგენს მომხმარებელთა არა მარტო კრიტიკისა და განსხვავებადობის უნარი, არა მარტო მათი მორალური და პოლიტიკური სუბსტანცია, არამედ – მათი აღქმის უნარი და თვით ფსიქოლოგიური იდენტურობაც კი. ამის შედეგად, თუკი მას ამის საშუალება მიეცემათ, ხდება ახალი ადამიანის გამოყვანა, რომლის წარმოდგენა, ჩვენი სურვილისდა მიხედვით, ზომბადაც შეგვიძლია და მუტანტადაც.

სინამდვილეში, ყველა ეს თეორია თითოეულიდან არის გამოწვეული, მათ ავტორებს სრულიად ზედმეტად მიაჩნიათ დამამტკიცებელი საბუთების მოტანა. მათ არ აინტერესებთ დამაჯერებლობის თვით ყველაზე მინიმალური კრიტერიუმიც კი. მაგალითად, ჯერ არავის მოუხერხებია, რომ წარმოედგინა თუნდაც ერთი ისეთი “ტელევიზიის მონაწილე”, ოღონდ არა ფსიქიატრიული კლინიკის პაციენტი, რომელიც ვერ შესძლებდა ერთმანეთისგან განსხვავებინა, საუზმის დროს მომხდარი წაკინკლავება სატელევიზიო სერიალში მოხდა თუ მის სამზარეულოში. მაგრამ სიმულაციის თეორიის ავტორებისთვის ეს, როგორც ჩანს, ნაკლებად საინტერესოა.

ასეთივე კურიოზული, მაგრამ შედეგის თვალსაზრისით, ალბათ, უფრო მძიმეა დასახელებულ თეორიათა მეორე მსგავსება. მედიამომხმარებელი მათში, ძირითადად, წარმოგვიდგება უმწეო მსხვერპლად, ორგანიზატორები კი - ანგარებიან საქმოსნებად. ეს ოპოზიცია არსებობას ინარჩუნებს სრული სერიოზულობითა და მნიშვნელოვანი საფუძვლიანობით: ერთმანეთს უპირისპირდებიან მანიპულატორები და მანიპულიაციის მსხვერპლნი, მომტყუებლები და მოტყუებულები, სიმულანტები და სიმულაციის ობიექტები, დამმტყუებლები და დამტყუებულები, და ერთად ქმნიან მშვენიერ სიმეტრიას.

როგორც ჩანს, ამ დროს პასუხგაუცემელი რჩება ერთი კითხვა, კერძოდ, რომელ მხარეზე უნდა ვიგულისხმოთ ესა თუ ის თეორეტიკოსი. პირველი ვარიანტია, რომ იგი საერთოდ არ სარგებლობს მედიასაშუალებებით, მაშინ მან არ იცის, რაზე ლაპარაკობს; ან ისიც მისი დარტყმის ქვეშ არის, და მაშინ ისმის კითხვა, თუ რა სასწაულით დააღწია მან თავი მის გავლენას. რადგან, ყველა სხვა დანარჩენისგან განსხვავებით, იგი მორალურად სრულიად უვნებლად არის გადარჩენილი, სრულიად დამოუკიდებლად ასხვავებს ერთმანეთისგან ილუზიას და რეალობას და გააჩნია სრული იმუნიტეტი იმ იდიოტობის წინააღმდეგ, რასაც ასე მზრუნველად აფიქსირებს სხვებთან მიმართებაში. ან, იქნებ (და ეს იქნებოდა ამ დილემის ფატალური ახსნა), მისი თეორიები სხვა არაფერია, თუ არა ამ უნივერსალური გამოშტერების სიმპტომები?

როგორც არ უნდა იყოს, შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ ეს თეორეტიკოსები მთლიანად დაუსხლტდნენ ხელიდან მათ ზეგავლენას. შეიძლება, მათზე ყოველგვარი ტრანსლაციის გავლენა შედარებით ვიწრო ჩარჩოებშია მოქცეული, რაც, განწყობის მიხედვით, სამწუხაროდაც შეიძლება ჩაითვალოს და მადლიერებითაც აღინიშნოს, მაგრამ სადავო ნამდვილად არ არის. ამის საპირისპიროდ, მათ მადლიერი მსმენელი ჰპოვეს ე. წ. მედიაპოლიტიკაში. ეს არც არის გასაკვირი, რადგან რწმენა იმისა, რომ ““მთელი გარესამყარო” იდიოტებით არის სავსე”, მიეკუთვნება პროფესიონალი პოლიტიკოსის ძირითად აღკაზმულობას. ეს გაუკუღმართებული შთაბეჭდილება კიდევ უფრო გვიმყარდება ხოლმე, როცა ვხედავთ, გამოცდილი ვეტერანებით როგორ ეძიძგილავენ ისინი ერთმანეთს თუ მედიაფუნქციონრებს ყოველი საეთერო წუთისთვის, და ეს – მაშინ, როცა საქმე ეხება მათი ლიმუზინების, საპატიო ყარაულის წინაშე ისტორიული გამოსვლის, ყვავილების ფონზე საკუთარი ვარცხნილობის, პირველ რიგში კი საკუთარი სამეტყველო აპარატის დემონსტრირებას. როგორი ამაღელვებელია ის გულმოდგინება, რითაც ხდება საეთერო წუთების, კამერის მოძრაობის, ჟურნალისტების მხრიდან მლიქვნელობის ხარისხის, დამატრობელი აპლოდისმენტების სიხშირის რეგისტრაცია! მანიპულაციის ძველმა, კეთილმა თეზისმა მათ საბოლოოდ თავბრუ დაახვია. ამით აიხსნება გაცხარებული შეხლაშემოხლა ამ “ბორდებისა” თუ სამეთვალყურეო საბჭოების გარშემო და მწველი სურვილი იმისა, რომ ერთხელ და სამუდამოდ მოიპოვონ კონტროლი მთელი ქვეყნის მასშტაბით.

ინდუსტრია არ იზიარებს არც ამ მგზნებარე მისწრაფებას და არც ამ წყალწყალა თეორიებს. მისი მოსაზრებები გამოირჩევა ასკეტური გულცივობით. ის, ერთი მხრივ, ტრიალებს სიხშირეების, არხების, ნორმების, კაბელების, პარაბოლური ანტენების, მიმართულებათა დიაგრამების გარშემო; მეორე მხრივ, დაინტერესებულია ინვესტიციებით, ქვოტებით, სარეკლამო შემოსავლებით. ამ პერსპექტივიდან მართლაც სიახლედ შეიძლება ჩაითვალოს ახალ მედიასთან დაკავშირებული ის ფაქტი, რომ არც ერთ მის ორ-

განიზატორს ერთი მოსაზრებაც კი არ გასჩენია არასდროს მის რაიმენაირ შინაარსთან დაკავშირებით. დანვრილებით და გაცხარებით განიხილება მათი ქცევის ყოველი სამეურნეო, ტექნიკური, სამართლებრივი და ადმინისტრაციული ასპექტი. მხოლოდ ერთი ფაქტორი არ თამაშობს არავითარ როლს ინდუსტრიის აზრებსა და სურვილებში: პროგრამა. დებატების თემა ყოველთვის არის, თუ ვინ იხდის და ვინ იჯიბავს ფულს, როდის, სად, როგორ, ვისი დახმარებით, მაგრამ არასდროს – ის, თუ რა უნდა გადაიციეს. ასეთი მიდგომა წარმოუდგენელი იქნებოდა ადრეული მედიისთვის.

მას შეეძლო განსაკუთრებულად, დიახ, მამაცურადაც კი, წარმოეჩინა თავი. მილიარდები იხარჯება კოსმოსში სატელიტების გასატყორცნად, მთელი ევროპა საკაბელო ქსელშია გახვეული; მიმდინარეობს “საკომუნიკაციო საშუალებების” უმაგალითო აღჭურვა და ამ დროს შეკითხვასაც კი არავინ სვამს, თუ რა უნდა გადაიციეს ყოველივე ამის საშუალებით. ამ გამოცანის პასუხი ხომ ისედაც აშკარაა. ინდუსტრიას კარგად ეხერხება, რომ დაეთანხმოს სწორედ იმ უმნიშვნელოვანეს საზოგადოებრივ ფიგურას თავის თამაშში: “ტელევიზიის მონანილის” ფიგურას. სწორედ იგი იწვევს ასე ენერგიულად, თანაც არა საკუთარი სურვილის გარეშე, ისეთ მდგომარეობას, რომელსაც მხოლოდ უპროგრამობა შეიძლება ეწოდოს. ამ მიზანთან უფრო მისაახლოებლად იგი ვირტუოზულად იყენებს დინსტანციური მართვის ყველა შესაძლო ლილაკს.

კლიენტებისა და მიმწოდებლების ამ შინაგან ალიანსს აწი, ალბათ, აღარაფერი ეშველება. გაბოროტებულ კრიტიკოსთა უმცირესობას უჭირს ამგვარი მასობრივი თანხმობის ახსნა, რადგან ეს ეწინააღმდეგება მის თვითგაგებას. რა მოხდება, თუკი უმრავლესობას ექნება თავისი ახსნა, თანაც ისეთი, რომელიც იოლად გამომდინარეობს იმ იდიოტობისგან, რაც მას მიეწერება? რა მოხდება, თუკი პროგრამები მართლაც აღარ იქნება აუცილებელი და თუკი თვით მედიის ცნებაც სრულიად უსარგებლო გახდება და მხოლოდ მისტიფიკაციად დარჩება? ალბათ, მაინც ღირს, რომ უფრო ჩავეძიოთ ამგვარ ვარაუდებს.

მედია-მედიუმის ცნება უძველესი დროიდან მოდის; თავიდან ამაში იგულისხმებოდა რალაც შუალედური, საშუამავლო, საშუალება; ბერძნულ გრამატიკაში ეს არის ზმნის საკუთარი გვარი, რომელიც საჭიროა “ქმედების მეშვეობით მოქმედი სუბიექტის ინტერესისა თუ მისი მონაწილეობის წინ წამოსანევად”; შემდგომში კი, “სპირიტისტულ მსოფლმხედველობაში მედიუმი იყო ის, ვინც ხელს უწყობდა სულების ურთიერთობას ცოცხლების სამყაროსთან” (!). ბოლოს, ფიზიკური თვალსაზრისით, მედიუმი არის ჰაერის მაგვარი მატარებელი, რომელშიც შეიძლება სინათლისა თუ ბგერის ტალღების გადატანა; აქედან კი გადატანილ იქნა საზოგადოებრივ კომუნიკაციებზე, მათ ერთ-ერთ ტექნიკურ საშუალებაზე, მაგალითად, წიგნის ბეჭდვაზე.

პროგრამის ცნებაც ორიენტირებულია დაწერილობაზე. სიტყვა ხომ დასაბამიდან სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა საჩვენებლად გამოწერილს, ან წინასწარ დაწერილს; ეს ნიშნავს “საკუთრივ, საჯარო, წერილობით განცხადებას, საჯარო გამოცხადებას, ამჟამად (1895) კი – გამოცხადებისა თუ მოწვევის ისეთ საბუთს, რომელიც გაიცემა უნივერსიტეტებსა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში. საზოგადოებრივ ცხოვრებაში ლაპარაკი არის ხოლმე რომელიმე პარტიის, გაზეთის, რაიმე მიზნით შექმნილი საზოგადოებისა თუ მთავრობის პროგრამაზე, რომელშიც მეტ-ნაკლებად სავალდებულო ფორმით ხდება მომავალი საქმიანობის ძირითადი მომენტების წინასწარ გამოცხადება”.

თუ რას აცხადებენ ამის საპირისპიროდ ტელევიზიის მესვეურები, იკითხება ასე⁵: *”Budenzauber - მხიარული წვეულება. Mini-Zi - მინი საინფორმაციო გადაცემა R-ზე, ei elei, Kuck elei. Du schon wieder - ისევ შენ და ისევ შენ (8.). Wenn abends die Heide träumt - როცა საღამოობით უდაბნო ოცნებობს. Almerisch g’suna und g’schpuit – Weltcup-Super G der Herren. Helmi. X-Large. Die Goldene Eins. Betthupferl. სანოლის თეთრეული. Bis die Falle zuschnappt. ვიდრე ხაფანგი დაინკაპუნებდეს. Einfach tierisch. უბრალოდ მხეცური. Wetten,*

⁵ აქ ჩამოთვლილია გერმანიის ტელევიზიათა ცნობილი პროგრამები და მათი პირდაპირი თარგმანი (მთარგმნ. შენიშვნა)

dass...? მოდი ნიძლავი, რომ... Es lebe die Liebe. გაუმარჯოს სიცოცხლეს. Ohne Krimi geht die Mimi nie ins Bett. დეტექტივის გარეშე მიმი არ დაიძინებს. Just another pretty face. Tintifax und Max. Ich will, dass du mich liebst. მინდა, გიყვარდე. Also ääährlich. Hulk(31). Musi mit Metty. Heute mit uns. დღეს ჩვენთან ერთად. Hart wie Diamant. აღმასივით მაგარი. Am, dam, des. Barbapapa. Texas Jack(12). Schau hin und gewinn. შეხედე და ისწავლე. Superfluo. Sie – er – es. Liebe international. სიყვარული ინტერნაციონალურად. Hart aber herzlich. მაგარი, თუმცა გულითადი. 1–2–X. Wer bietet mehr? ვინ შემოგვთავაზებს მეტს?“

ახსნას აღარ საჭიროებს ის, რომ ამგვარი მოვლენები უკვე ვეღარ აღიქმება იმგვარი ანაქრონისტული ცნებებით, როგორცაა “მედია”, ან “პროგრამა”. ახალ მედიაში ახალი არის ის ფაქტი, რომ იგი აღარ არის დამოკიდებული პროგრამებზე. თავის ჭეშმარიტ დანიშნულებას ის ასრულებს იმ დოზით, რა დოზითაც უახლოვდება მედიის ნულოვან მდგომარეობას.

აღნიშნული ტენდენცია, როგორც ეს ამ გადასახედიდან ჩანს, უცხო არ იყო ძველი მედიებისთვისაც. არც წიგნს დაუკლია მცდელობა, გათავისუფლებულიყო სულ უფრო და უფრო მომაბეზრებელი შინაარსისგან. პირველი წარმატება ამ მიმე გზაზე მოპოვებულ იქნა ტრივიალურ რომანში. შემდეგი მიჯნები აიღო ბულვარულმა პრესამ, “ბლოკნოტის ლიტერატურამ” და ილუსტრირებულმა. ტრიუმფალური რეკორდი, რომელიც ბეჭდვით ინდუსტრიაში დღემდე გადაულახავი რჩება და წერა-კითხვის უცოდინართა საოცნებო ზღვარს უახლოვდება, ეკუთვნის სურათებიან გაზეთებს.

გადამწყვეტი პროგრესი მაინც ელექტრონულმა მედიამ მოიტანა. კერძოდ, აღმოჩნდა, რომ ნაბეჭდი ნულოვანი მედიის შექმნის გზაზე უამრავი დაბრკოლება არსებობს. ვისაც ყოველგვარი მნიშვნელობისგან წერილობის გათავისუფლება უნდა, მან უნდა მიმართოს ექსტრემალურ ზომებს. ავანგარდის (დადა, ლეტრიზმი, ვიზუალური პოეზია) გმირულმა შემოთავაზებებმა ვერ ჰპოვეს გამოძახილი ინდუსტრიაში. ეს, ალბათ, იმის გამო მოხდა, რომ ნულოვანი კითხვის იდეა თავის თავში მოიცავს წინააღმდეგობას. მკითხველს, თანაც ყოველ მკითხველს, გააჩნია ფატალური მოთხოვნილება

შესაბამისობების დადგენისა და თვით ყველაზე ამღვრეულ ასოთა ნარევი-შიც კი რაიმე ისეთის ამოქექვისა, რაც აზრთან იქნება მიახლოებული.

ისეთი შედარებით ახალგაზრდა მედიისგან, როგორც არის რადიო, შეიძლება ველოდოთ უფრო ნაკლებს, ეს კი ამ კონტექსტში ნიშნავს უფრო მეტს. ემანსიპაციამ ხომ წერილობიდან ახალი პერსპექტივები მაინც გააჩინა. თუმცა პრაქტიკაში აღმოჩნდა, რომ რადიოში ბევრს კითხულობენ ხმა-მალლა. მაგრამ იქაც კი, სადაც თავისუფალი მეტყველება იკვლევდა გზას, კერძოდ - დიალოგსა და დისკუსიებში, ზოგჯერ ყოვლად უაზრო ქაქანშიც კი სიტყვებს მაინც მოჰქონდათ ისეთი რამ, რაც მნიშვნელობასთან იყო ახლოს. როგორც ცნობილია, ძალიან ძნელია და მოითხოვს ვარჯიშსა თუ კონცენტრაციას, როდესაც დიდი ხნის განმავლობაში ადგენ ისეთ აბსოლუტურად უაზრო წინადადებებს, რომლებიც არ ემორჩილება არანაირ ახსნას, რანაირადაც არ უნდა მიუდგე მათ. ეს არის თავად ენა, რომელიც ქმნის მინიმალური პროგრამის მსგავს რამეს. ამ ხელისშემშლელი ფაქტორის თავიდან მოსაშორებლად შედარებით ახალმა თაობებმა, რომლებიც უკვე დიდი ხანია რადიოში მუშაობენ, თანმიმდევრულად შეამცირეს სიტყვების გადაცემა. თუმცა, ბავშვური ტიტინის მსგავსი რამ ჯერ მაინც არის დარჩენილი: ყოველ შემთხვევაში, კერპებისა თუ სამარკო ნიშნების დასახელებაც ყველა შემთხვევაში უნდა გაიტყორცნოს ეთერში რეგულარული სიხშირით, ესეც მხოლოდ - ეკონომიკური მოსაზრების გამო.

მხოლოდ და მხოლოდ ვიზიო-ტექნიკას, უპირველეს ყოვლისა კი ტელევიზიას, შეუძლია ჩამოიხსნას ენის ტვირთი და გაანადგუროს ის ყველაფერი, რაც ერთ დროს პროგრამა, მნიშვნელობა, “შინაარსი” იყო. ნულოვანი მედიის ჯერ კიდევ განუჭვრეტელ შესაძლებლობათა მტკიცებულებას ერთი უბრალო ექსპერიმენტი წარმოაჩენს. დავსვათ ექვსი თვის ბავშვი ჩართულ ტელევიზორთან. ჩვილის ტვინის ფიზიოლოგიური მდგომარეობა ჯერ კიდევ არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ მან ერთმანეთისგან გაარჩიოს სურათები და მოახდინოს მათი დეკოდირება, ამიტომ არ შეიძლება დაისვას კითხვა მათი “მნიშვნელობის” შესახებ. იმის მიუხედავად, თუ რა ხდება ეკრანზე, ეს ქრელი, მოელვარე, მბრწყინავი ლაქები უშეცდომოდ და

უნყვეტად იწვევს მის შინაგან, თუ შეიძლება ითქვას, ავხორცულ დაინტერესებას. ბავშვის აღქმის აპარატი საოცრად დაკავებულია. ზემოქმედება ჰიპნოზურია. შეუძლებელია იმის თქმა, თუ რა ხდება მასში, მაგრამ ჩვილის თვალები, რომლებშიც ტელევიზორის ეკრანი ირეკლება, ისეთი გატაცებულ, თავისთავში ჩაღრმავებულ გამომეტყველებას იღებს, რომ ცდუნება გიპყრობს, ბედნიერადაც კი შერაცხო.

ფილანტროპს არ მოუნწევს ბევრი ბრძოლა საკუთარ თავთან საიმისოდ, რომ ცდუნების ამგვარი მცდელობა ბარბაროსულ თავხედობად არ მონათლოს. მან არა მხოლოდ ის უნდა გაიაზროს, რომ ეს ექსპერიმენტი მილიონჯერ უფრო რუტინულია, ვიდრე - ყოველდღიურობა; თუმცა, იგი მაინც კარგს იზამდა, თუკი საკუთარ თავს იმასაც შეეკითხებოდა, თუ რამდენად ეხება მისი შეფასება იმ კულტურას, რისი ფასიც მან, ალბათ, იცის. თანამედროვე ხელოვნების პირველმკვლევთა გმირული წარმატებების გარეშე ნულოვანი მედია წარმოუდგენელი იქნებოდა. ის ფერადი ლაქები და კონფიგურაციები, რომლებმაც ასე მიიპყრეს ჩვენი ექვსი თვის ასაკის საცდელი ობიექტის მზერა, შემთხვევით აბსტრაქტულ მხატვრობას ხომ არ წააგავს? დაწყებული კანდინსკიდან - action painting-მდე, კონსტრუქტივიზმიდან - პოპ-არტის და კომპიუტერული გრაფიკის სიღმეებამდე, მხატვრებმა გააკეთეს ყველაფერი, რაც კი შეეძლოთ, რათა “შინაარსისგან” გაენმინდათ თავიანთი ნაწარმოებები. რამდენადაც ეს მინიმალიზაცია წარმატებით გამოუვიდათ, ამიტომაც სამართლიანად ითვლებიან ნულოვანი მედიის გზამკვლევადად. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ეს როლი ვიდეოხელოვნებაში, რომლის საუკეთესო პროდუქციაში უკვე სრულიად შეუძლებელია რაღაცის ამოცნობა.

ბუნებრივია, ამ ხელოვნებათა ავტორები და აპოლოგეტები შორს არიან იმ აზრისგან, რომ თავი ინდუსტრიის თანამონაწილედ მიიჩნიონ. თავიანთი სტატუსისა და ღირებულების განსამტკიცებლად მათ გამოიმუშავეს საკუთარი “ფილოსოფია”, რომელიც უფრო მეტად შამანურ შელოცვებს ემყარება, ვიდრე არგუმენტებს და რომლისაც ალბათ მხოლოდ თვითონ სჯერათ. ეს დაგვიანებული ავანგარდი ჯიუტად ინარჩუნებს უმცირესობას და არ

უნდა გააცნობიეროს, რომ მან უკვე დიდი ხანია დაიპყრო მასობრივი პუბლიკა ნულოვანი მედიის სახით.

სხვათა შორის, სრულყოფილებისადმი სწრაფვა ყოველთვის მტანჯველი და ხანგრძლივი პროცესია. ეს ეხება ტელევიზიასაც. საქმეს ისიც ართულებს, რომ ნულოვანი მედია იძულებულია, თავი დაიმკვიდროს პატარა, მაგრამ გავლენიან უმცირესობათა წინაშე, რომლებიც იმისკენ არიან მომართულნი, რომ დაიცვან ისტორიული ნარჩენები ან – უკვე სასურველად ქცეული მომავლის იმედები. ერთი მხრივ, პარტიის პოლიტიკით დაინტერესებულები თუ მედია-ფუნქციონრები თავგამოდებით ებლაუჭებიან იმის რწმენას, რომ მათ შეუძლიათ ტელევიზიის ჩაბმა საკუთარი პოზიციების სტაბილიზაციის პროცესში; მეორე მხრივ, არ იგრძნობა იმ პედაგოგთა და კრიტიკულად განწყობილ თეორეტიკოსთა ნაკლებობა, რომლებიც ელექტრონულ მედიებში მუდმივად გრძნობენ იმგვარი ნაყოფიერი ძალების არსებობას, რომლებსაც მხოლოდ საშუალება უნდა მიეცეს, რომ დაიწყონ გაუთვალისწინებელი საზოგადოებრივ-სასწავლო პროცესები (ფრიად სასიხარულო ცნობაა, რომლის აწყობაც შეიძლება რომელიმე ძველი მედია-“კონსტრუქტორისგან”).

ამ წარმოდგენათა გარშემო, დროთა განმავლობაში, ჩამოყალიბდა მტრულად განწყობილ საძმოთა უაღრესად თავისებური კოალიცია, რომელთაც მხოლოდ ერთი რამ აქვთ საერთო, კერძოდ ის, რასაც პროგრამა-ილუზია შეიძლება ეწოდოს.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ამ ილუზიას კანონის სახეც კი აქვს მიღებული; იგი დაფიქსირებულია სახელმწიფო ხელშეკრულებებში, შეთანხმებებში, რადიოკანონებში, წესდებებსა და სამართლებრივ დირექტივებში, თანაც, როგორც ჩანს, ყოველი პასუხისმგებელი პირი დიდის ამბით იცავს მას. გადაცემები, თურმე, როგორც იქ წერია, “გამსჭვალული უნდა იყოს დემოკრატიული სულისკვეთებითა და კონსტიტუციისადმი ერთგულებით... კულტურული პასუხისმგებლობის გრძნობით და ობიექტურობის სურვილით. მათი მუშაობა უნდა ემსახურებოდეს თავისუფლებას, სამართლიანობასა და ჭეშმარიტებას”, “უნდა მოუწოდებდეს მშვიდობისა და

სოციალური სამართლიანობისკენ”, “უნდა ემსახუროდეს თავისუფალ და მშვიდობიან პირობებში გერმანიის ხელახალ გაერთიანებას და ხალხთა ურთიერთგაგებას”. სხვა რაღა გრჩება სასონარკვეთილს, თავზე თუ არ წაივლეს ხელები! შოუებისა და ფსიქო-ტრილერების, კლიპებისა და სარეკლამო რგოლების შემქმნელებმა, თურმე, არა მარტო “განათლება, სწავლება და გართობა” უნდა შესთავაზონ მაყურებელს, არამედ – “ადამიანურობა და ობიექტურობა”, “ინფორმაციული მრავალფეროვნება”, “ვრცელი და მიუკერძოებელი ინფორმაციის მიწოდება” და, რა თქმა უნდა, როგორც ყოველთვის, ფართო “კულტურული ასორტიმენტი”.

კანონშემოქმედთა ეს ფანტასტიკური გეგმიური დავალება უკავშირდება ამ დანესებულებათა დაარსების ისტორიას. ის სათავეს იღებს იმ დროში, როცა ჯერ კიდევ შეუძლებელი იყო იმის განჭვრეტა, თუ რა შეეძლო სრულყოფილად განვითარებულ ნულოვან მედიას”. “პროგრამის შემდგენლები, რომლებიც მეტ-ნაკლები მონდომებით ასრულებენ წინაპართაგან დატოვებულ “დავალებას”, უაღრესად მელანქოლიურ სანახაობას წარმოადგენენ. საშტატო ერთეული მათთვის არის ის დაკარგული თანამდებობა, რომლიდანაც ისინი იბრძვიან ტელევიზიისთვის, როგორც პედაგოგიური პროინციისთვის.

პროგრამის ილუზია მარტოდენ იურიდიულ თუ ინსტიტუციურ მიზეზთა დამსახურება როდია; იგი პირდაპირ ეყრდნობა მედიათა ფილოგენეზისს. მათ ევოლუციაში ძალიან ფასობს ასეთი ფრაზა, რომ ყოველი ახალი მედია ჯერ ძველზე უნდა იყოს ორიენტირებული, სანამ საკუთარ შესაძლებლობებს აღმოაჩენდეს და, გარკვეულწილად, თვითდადგინდებოდეს. ეს დისტანციური დამტვერვა ტელევიზიებშიც შეიმჩნევა. ძნელად ამოსაძირკვია ის წარმოდგენები, თითქოს ეს იმისთვის კეთდება, რომ მოხდეს ფორმებისა და შინაარსების, ანუ “პროგრამების” ტრანსპორტირება ისე, როგორც ამას ადრეული მედიები აკეთებდნენ. ტექნიკურად ეს არავითარ შემთხვევაში გამორიცხული არ არის. შეუძლებლობის საგანს ხომ არ წარმოადგენს, მაგალითად, ის, რომ ჩაის კოვზით შესაძლებელია შენობის საძირკვლის ამოთხრა, ან ტელეტაიპის საშუალებით ბიბლიის გადაცემა; შეიძლება, მხო-

ლოდ ის, რომ ჩაის კოვზებისა და ტელეტაიპების დანიშნულება არ თავსდება ამგვარ ღონისძიებებში.

ევოლუციური კვერცხის ის ნაჭუჭები, რომლებსაც ტელევიზია თან მიაფხოკიალებს, განსაკუთრებით თვალში საცემია იმ რელიქვიებში, რომლებიც უხსოვარი დროიდან არის დამკვიდრებული გადაცემათა ბადეში. ასე უმიზნოდ, მოჩვენებებივით, დაფარფატებენ ისეთი გაუცხოებული ფორმები, როგორცაა ქადაგება, ოპერა, კამერული კონცერტი, საზოგადოებრივი კომედია, მოკლე კომენტარი ნულოვან მედიაში ანუ იქ, სადაც მათ არაფერი ესაქმებათ. კონსერვირება ხდება, აგრეთვე, ისეთი რადიოფორმებისა, როგორებიც არის საინფორმაციო ბიულეტენი, დისკუსია და რადიოპიესა, რომელთა დროსაც კამერის დასწრება ზედმეტ ფუფუნებად არის მიჩნეული.

ტელევიზიის ზოგიერთი ვეტერანი, რომელმაც ვერ ამოიცნო დროის ნიშანი, კვლავ იმ წარმოდგენათა ტყვეობაში იმყოფება, რომ მათ შეიძლება ხელიდან დაუსხლტეთ მასალა. იმ იდეის აკვიატებას, რომ საჭიროა გადაიცეს რამე და არა ის, რომ არაფერი არ უნდა გადაიცეს, ისინი მიჰყავს ძველ მედიათა კანიბალიზაციამდე. ამას შედეგად მოჰყვება, პირველ რიგში, იმ მედიის განადგურება, რომლის შესახებაც გინდა გჯეროდეს, რომ იგი არის ტელევიზიის მონათესავე, კერძოდ, ლაპარაკია ფილმზე. ბუნებრივია, მალევე გაირკვა, რომ აქ საქმე გვაქვს აღრევასთან. კინოს ესთეტიკური მომხიბვლელობა ტელევიზორის ეკრანზე არ ნარჩუნდება. იგი ნადგურდება სასაცილო ფორმატით, სარეკლამო წყვეტებით და ინდიფერენტული, გაუთავებელი გამეორებებით; ამას აგვირგვინებს მაყურებლის საიდუმლო იარაღი – გადასართველი პულტი.

და, საერთოდაც, ეს მაყურებელი! მან ზუსტად იცის, თუ რასთან აქვს საქმე. იგი დაცულია ყოველგვარი პროგრამა-ილუზიონისგან. კანონმდებელთა დირექტივები საპნის ბუშტებივით სკდება მის პრაქტიკაში. შორს არის რა იმისგან, რომ უფლება მისცეს ვინმეს, საკუთარ თავზე ჩაატარებინოს რაიმე სახის მანიპულაცია (როგორც არის აღზრდა, ინფორმირება, განვითარება, ახსნა, გაფრთხილება), იგი თავად ახდენს მედიის მანიპულირებას

საკუთარი სურვილის შესაბამისად. იმას, რაც მის სურვილებს არ შეესაბამება, ღილაკზე თითის დაჭერის მეშვეობით მიესჯება ხოლმე სიცოცხლის აღკვეთა, ხოლო ის, ვინც მის ყველა სურვილს ასრულებს, ჯილდოვდება შესანიშნავი ქვოტებით. მაყურებელი მშვენივრად აცნობიერებს, რომ მას საქმე აქვს არა საკომუნიკაციო საშუალებასთან, არამედ კომუნიკაციის უარყოფის საშუალებასთან, და ეს მისი ურყევი რწმენაა. სწორედ ის, რასაც ნულოვან მედიას ნაკლად უთვლიან, ანიჭებს მას მაყურებლის თვალში წარუშლელ ხიბლს.

ასე აიხსნება ტელევიზიის კიდევ ერთი თავისებურებაც, რაც ნებისმიერ სხვა შემთხვევაში ამოუცნობი იქნებოდა, კერძოდ – მისი ტრანსკულტურული არეალი. ერთი და იგივე სერიალი, ერთი და იგივე კლიპი, ერთი და იგივე შოუ, მიუხედავად საზოგადოებრივი შეხედულებებისა, ერთნაირი მიზიდულობის ძალით სარგებლობს როგორც ლუდენშაიდში, ასევე – ჰონკონგსა თუ მოგადიშუში. შეუძლებელია, რომელიმე შინაარსი კონტექსტიდან ასეთი დამოუკიდებელი, თანაც ასეთი თვალისმომჭრელი და უნივერსალური იყოს.

მაშასადამე, ნულოვან მდგომარეობაში ყოფნა ტელევიზიის სისუსტე კი არა, მისი სიძლიერეა. ამით იგი ქმნის თავის სამომხმარებლო ღირებულებას. ტელევიზორს რთავენ იმისთვის, რომ თვითონ გაითიშონ. (სწორედ ამის გამო არის, სხვათა შორის, აბსოლუტურად მორგებული ტელევიზიაზე ის, რასაც პოლიტიკოსები პოლიტიკას ეძახიან. როდესაც რომელიმე საცოდავი მინისტრი ფიქრობს, რომ მაყურებელთა მოსაზრებებსა და ქმედებებზე ახდენს გავლენას, ამ დროს მისი წყალ-წყალა გამონათქვამების მეშვეობით კმაყოფილდება მაყურებელთა მოთხოვნილება, რომ თავი აარიდონ ყოველგვარ მნიშვნელობას).

ამის საპირისპიროდ, ხანდახან, ისეთი რაღაცეებიც გვხვდება, როგორც არის, მაგალითად, ხარვეზი. ეს მაშინ, თუკი გადაცემათა ერთფეროვან მდინარებაში უეცრად თავს ამოყოფს რაღაც ისეთი, რაც შორეულად მაინც წააგავს შინაარსს თუ ნამდვილ ინფორმაციას, ან – რამე ისეთი არგუმენტი, რაც მაყურებელს მის გარემომცველ სამყაროს გაახსენებს. იგი მაშინვე წა-

მოჯდება, თვალებს მოიფშვნეტს, ხასიათი უფუჭდება და გადასართველ პულტს ეცემა ხოლმე.

ბოლოს და ბოლოს, ტელევიზიის ეს უაღრესად მიზანმიმართული გამოყენება ნამდვილად იმსახურებს ჩვენს ყურადღებას. ტელევიზია, ძირითადად, გამოიყენება როგორც ტვინების გამორეცხვის მეთოდი, ოღონდ – სასიამოვნო; იგი ემსახურება ინდივიდუალურ ჰიგიენას, თვითმნამლობას. ნულოვანი მედია არის ფსიქოთერაპიის ერთ-ერთი უნივერსალური და მასობრივად გავრცელებული ფორმა. ამდენად, აბსურდია, კითხვის ნიშნის ქვეშ მისი საზოგადოებრივი საჭიროების დაყენება. ვისაც თავიდან მისი მოშორება უნდა, ჯერ ის ალტერნატივები უნდა მოინიშნოს, რომლებიც, სავარაუდოდ, მის განკარგულებაშია. პირველ რიგში, აქ უნდა ვიფიქროთ განარკომანებულ მომხმარებელზე, რომელიც მოიხმარს ყველაფერს, საძილე აბებიდან კოკაინამდე, ალკოჰოლიდან - ბეტა-პრეპარატებამდე, ტრანკვილიზატორებიდან - ჰეროინამდე. ქიმიის ნაცვლად ტელევიზიის შეთავაზება ნამდვილად უფრო ელეგანტურ გადაწყვეტილებად უნდა ჩაითვალოს. როცა სოციალურ ხარჯებსა თუ ე. წ. გვერდით მოვლენებზე ფიქრობ, უნდა აღიარო, რომ ნულოვანი მედიის მომხმარებელმა, ალბათ, მაინც ბრძნული არჩევანი გააკეთა – მით უმეტეს, როცა საქმე ეხება მის ხელთ არსებულ ისეთ შესაძლებლობებს, როგორიც არის მანქანომანია, ძალადობა, ფსიქოზი, სიშმაგე და თვითმკვლელობა.

ვისთვისაც ამგვარი არგუმენტაცია *ex negativo* პირქუშია, მისთვის გამოსავალი ყოველთვის მოიძებნება. მან მზერა უსიამოვნო ფაქტებიდან უფრო მაღალ მატერიებზე უნდა გადაიტანოს და რჩევისთვის მიმართოს კაცობრიობისთვის ოდესღაც ესოდენ საყვარელ, უძველეს სიბრძნეებს. როდესაც ჩვენი თვითკონცენტრაცია თავის მაქსიმუმს მიაღწევს და ეს დაუბრკოლებლად მოხდება ნებისმიერი ეზოთერული ბლოკნოტის მეშვეობით, მაშინ ის აღარ გამოირჩევა სხვებისგან თავისი სულიერი გაუცხოებით, პირიქით – თვით ყველაზე ექსტრემალური გართობაც კი ხშირად ჰიპნოზურ თვითჩაღრმავებაში მკვეთრი გადასვლით მთავრდება. ამ თვალსაზრისით, თვალეებზე აფარებული ბამბის ფთილა ახლოს დგას ტრანსცენდენტურ მედიტა-

ციასთან. ასევე, თავისუფლად აიხსნება ის კვაზი-რელიგიური მონინება, რომლითაც სარგებლობს ნულოვანი მედია: იგი მაყურებელს ტექნიკის მეშვეობით ნირვანას უახლოებს. ტელევიზორი ნამდვილი ბუდისტური მანქანაა.

ვალთარებთ, რომ აქ საქმე ეხება ისეთ უტოპიურ პროექტს, რომელსაც, როგორც ყველა სხვა უტოპიას, განხორციელება არ უნერია. ის, რაც დასაშვებია თოთო ასაკის ბავშვისთვის, კერძოდ – სრული თავდავინყება, უაღრესად რთული მისაღწევია მოზრდილი ადამიანისთვის. იგი ხომ გადაჩვეულია თავისი აღქმის აპარატის ისე ამუშავებას, რომ ინტერპრეტაციას არ დაუქვემდებაროს ის, რასაც იგი დაინახავს. უნდა თუ არ უნდა, იგი სულ ცდილობს, რომ იქაც კი რაიმე აზრი აღმოაჩინოს, სადაც მისი ნატამალი არ არის. მნიშვნელობაზე ეს ძალაუნებური ფოკუსირება ხელისშემშლელად მოქმედებს ნულოვანი მედიით სარგებლობის დროს. ორჭოფულ სიტუაციაში შემოდის ყოველთვის ვამტკიცო, რომ მართლა ზომბი არ ვარ და რამე ხომ უნდა იყოს იმაში, რასაც ვუყურებ, რამე კონკრეტული, თუნდაც ერთი ბენო შინაარსის მსგავსი. ამიტომაც არის გარდაუვალი, რომ თვით ყველაზე გავარჯიშებული მაყურებელიც კი ხანდახან მაინც მოხვდეს ამგვარი მისტიფიკაციის ტყვეობაში.

ამრიგად, შეუძლებელია იდეალური მდგომარეობის მიღწევა. შეიძლება მიუახლოვდე სრულყოფილ სიცარიელეს, ანუ აბსოლუტურად ნულოვან ნერტილს. ეს სიძნელე ყველა მისტიკოსისთვის ნაცნობია: მედიტაციას არ შეეყავართ ნირვანაში, ჩალრმავება ყველა შემთხვევაში გამოგვდის პუნქტუალური, მაგრამ არ არის საბოლოო, მცირე სიკვდილი არ გადადის დიდში. მინიმალური სიგნალი მაინც ყოველთვის მოდულირებს, ეს არის რეალობის შრიალი, „სუფთა უსაგნობის გამოცდილება“ (კაზიმირ მალევიჩი).

ფაქტია, რომ უკანასკნელი ათწლეულების გამოცდილება მაინც უაღრესად მნიშვნელოვანია, და ეს – მიუხედავად იმისა, რომ ტელევიზიის ეკრანი ვერასდროს მიუახლოვდება თავის დიად მაგალითს, 1915 წლის დროინდელ იმ შავ კვადრატს, რომელთან შედარებით ნულოვანი მედიის ყველა გადაცემა აბსოლუტურად ფუჭია.

ვოლფ ლეპენიესი

მრისხანებას ყავლი ბასდის, ირონია კი უკვდავია

ქებათა-ქება ჰანს მამნუს ენცენსბერგერს

სტარტზე იგი ერთობ დაძაბული და, ცოტა არ იყოს, ღონემიხდილი ჩანს. შინაგანად უკვე ცახცახებს, სტარტის ნომერს ეჯაჯგურება და თან მაისურს ისწორებს; მერე უკანასკნელად დახედავს მაჯის საათს და გონებაში ერთხელ კიდევ გადაავლებს თვალს დროის გრაფიკს; და, აი, შეჯიბრიც იწყება. დანარჩენი მორბენლები მას ყურადღებას არ აქცევენ, მაგრამ ეს კაცი უმალ მოექცევა სარბენი ბილიკის თავში; ერთია, რომ ეს არავის არ აღელვებს, რადგან ასეთია შეთანხმება. პროფესიულ ჟარგონზე მას “კურდლელს” ეძახიან. მძლეოსნობაში მსოფლიო რეკორდებს მის გარეშე უკვე ველარავინ დაამყარებს. აი, “კურდლელმა” ტემპს უმატა. რა საშინელებაა! “ნეტავ, როგორ გაუძლებს ამას?” - ამბობენ ადამიანები, რომლებიც მას არ იცნობენ. საქმეში ჩახედულები კი მშვიდად არიან და ამბობენ: “ნუ გავინყდებათ, რომ კურდლელთან გაქვთ საქმე! ახლა იგი ტემპს მოუმატებს და მალე ბილიკიდან გადავა”. და მართლაც ასე ხდება. როდესაც ფინიშამდე ორი თუ სამი წრე რჩება, “კურდლელს” საქმე უკვე მოთავებული აქვს და საბრენი ბილიკიდან გადადის. მის კვალდაკვალ ფავორიტები აგრძელებენ რბოლას, და, თუ ყველაფერმა კარგად ჩაიარა, მსოფლიო რეკორდი დამყარებული იქნება. “კურდლელი” კი ამ დროს შხაპის მისაღებად მიეშურება.

მაგრამ ყოველთვის ასე როდი ხდება!

ერთხელაც სრულიად გაუთვალისწინებელ ამბავს შევესწარით. “კურდლელმა” ტემპს რომ უმატა, ვინც მას არ იცნობდა, თქვა: “რა საშინელებაა, ამას ვერაფრით გაუძლებს!-ო”; საქმეში ჩახედულებმა კი თქვეს: “ნუ გავინყდებათ, რომ კურდლელთან გაქვთ საქმე; აი, ახლა ტემპს მოუმატებს, მერე კი მალე ბილიკიდან გადავა”-ო; მერე ლუდიც მოატანინეს და სმას შეუდგნენ. მაგრამ “კურდლელი” ბილიკიდან არ გადასულა, იგი ბილიკზე დარჩა; თქვენ წარმოიდგინეთ, კიდევ უფრო უმატა ტემპს და ყველა უკან ჩამოი-

ტოვა. ასე და ამრიგად, დანარჩენი ფავორიტები პირში ჩალაგამოვლებული დარჩნენ, ის კი ამ დროს შხაპის ქვეშ იდგა და მსოფლიო რეკორდი განადგებული ჰქონდა.

ღრიანკალი

ჰანს მაგნუს ენცენსბერგერი 1929 წლის 11 ნოემბერს, კაუფბოირენში, შვაბეთის ადმინისტრაციული ოლქის, ალგოის, ერთ-ერთ დასახლებაში დაიბადა. მისი ზოდიაქო ღრიანკალია, და სადაც კი გამოჩნდება, ყველას სამუდამოდ ამახსოვრებინებს თავს.

ოცდახუთი წლის წინ, ახალი ინგლისის შტატის ერთ-ერთი კვლევითი ინსტიტუტიდან მოწვევა მივიღე. ერთხანს დიდი სიამაყე დამეუფლა, მაგრამ ეს გრძნობა დიდხანს არ გამყოლია. “ოჰო, თქვენ ჰალსტუხს ატარებთ?!” – ასეთი მისალმებით შემხვდნენ იქ, – “ის კი მუდამ საკინძეგადაღელი დაიარებოდა!” ვუსმენდი და წარმოდგენა არ მქონდა, ვიზე იყო ლაპარაკი; მერე მკითხეს: “აბა, თქვენ რაზე ინებებდით საუბარს?”, და იქვე დასძინეს: “ჰმ, მას ხომ შეკითხვების დასმა საერთოდ ზედმეტად მიაჩნდა”. მერე ყოველ ცისმარე დღეს, ისევ და ისევ იგივე რომ განმეორდა, ჩემთვის ეს ინსტიტუტი მელანქოლიური პროდუქციის მწარმოებელ სამკერვალო სახელოსნოდ გადაიქცა, სადაც ყველა ადამიანს იმ საზომით ზომავდნენ, ერთხელ რომ უკვე გამოეყენებინათ მავანი ცნობილი ადამიანისთვის ზომის ასაღებად; თანაც ამ დროს ყველაზე მეტად ის სწყინდათ, რომ მეხსიერებიდან ვერ ამოეშალათ კაცი, რომელსაც ყოველგვარ პრივილეგიებზე უარი განეცხადებინა, განრისხებულს მიეტოვებინა იქაურობა, ისინი კი მას ისევ ქებადიდებით მოიხსენიებდნენ. დიახ, ახლა უკვე “მფრინავ რობერტად” ქცეული ჰანს მაგნუსი, კვლავაც აღიმართებოდა ხოლმე ჰაერში და თავხედურად ახდენდა საკუთარი გაუჩინარებით გამოწვეული სენსაციის დემონსტრირებას, მაგრამ ამასთან მუდამ რჩებოდა იმ საქმეებისა და ადამიანების საზომად, აქ მის შემდეგ რომ ჩამოდიოდნენ, ან, თუნდაც, არ ჩამოდიოდნენ.

როგორ გგონიათ, რა მოიმოქმედა იმანუელ კანტმა, როდესაც სახლიდან გააგდო თავისი დიდი ხნის მსახური ლამპე, რომელთანაც გამუდმებით ჩხუბი და დავიდარაბა ჰქონდა? რა და, ფილოსოფოსმა მაშინ გარკვევით ჩაინერა უბის წიგნაკში: “ლამპეს გვარი ამიერიდან სამუდამოდ დავინყებას უნდა მიეცეს”. მერე კი ის მოხდა, რომ მან ამით ლამპეს სახელი უკვდავყო. სწორედ იგივე დაემართათ ვესლეიენის უნივერსიტეტის კოლეგებს, როდესაც 1967 წელს ჰანს მაგნუს ენცენსბერგერი თავისთან მიიწვიეს; მაგრამ ამ უკანასკნელმა მალე აურზაური ატეხა და განრისხებულმა კუბას მიაშურა. და, მიუხედავად იმისა, რომ ინსტიტუტში მისი ხსენება არ უნდოდათ, ათი თვის შემდეგაც ისევ და ისევ ლაპარაკობდნენ მასზე. ალბათ, გახსოვთ, საფრანგეთის ეროვნულ კრებაზე როგორ შეურაცხყოფილად იგრძნო თავი მუამბოხე გენერალმა ბულანჟემ, როდესაც მას მთავრობის მეთაურმა ფლოკემ პირში მიახალა: “ბატონო ჩემო! თქვენს ასაკში ნაპოლეონი უკვე მკვდარი იყო”. ჰოდა, მეც ასევე შემელახა ღირსების გრძნობა, როდესაც ცენტრის დირექტორმა, რომელსაც გატაცებით ვუყვებოდი ჩემს “work in progress”-ზე, ცოტა არ იყოს დაბნეული სახით, თუმცა კი ცივი თავაზიანობით, მომიგო: “კეთილი, კეთილი, მაგრამ იმხანად ბატონი ენცენსბერგერი უკვე ნასული იყო აქედან!”

რა თქმა უნდა, საღი განსჯის თვალსაზრისით, უპრიანი იქნებოდა, შევკამათებოდი მას, მაგრამ ასე არ მოვქცეულვარ, და ჩვენი საუბარი ისევ და ისევ ამ კაცის ქება-დიდებათ დასრულდა.

ლიბერო

ახლა გეტყვით, რა საერთო აქვს ენცენსბერგერს ბეკენბაუერთან: მან ბურთი საკუთარ კარშიც რომ გაიტანოს, ეს ფაქტი ისტორიას აუცილებლად შემორჩება, როგორც გენიალურად ჩანოდებული დარტყმა. სწორედ დიდმა ფრანცმა მიმანიშნა იმ ერთადერთ ნაღდ სიტყვაზე, რომელიც სავსებით ზუსტად გამოხატავს ჰანს მაგნუსის მნიშვნელობას ფედერაციული რესპუბლიკის სულიერ ცხოვრებაში. დიახ, ეს კაცი ინტელექტუალური სამ-

ყაროს ლიბეროა. სულიერების სფეროში გერმანიას ჰყავს: შთამბეჭდავი მცველები და გონიერი გარემარბები; სახელოვანი, მამაცი გვერდითი და ცენტრალური თავდამსხმელები; ფრთხილი კომბინაციების ოსტატები და პატივმოყვარე სათადარიგო მოთამაშეები, რომელთა წყალობითაც ცენტრალურ მოედანზე ისევ და ისევ ჩვეული შეხლა-შემოხლის მონმენი ვხდებით; მაგრამ მათ შორის ერთადერთი ლიბერო გვყავს და ეს ჰანს მაგნუს ენცენსბერგერია.

დიახ, იგი ლიბერო და ის ეროვნული პოეტია, ნებისმიერ მანძილს რომ გადალახავს, გაუსწრებს ფეხდაფეხ დადევნებულ მეტოქეს და წინ გაიჭრება. ფილოსოფიური გაგებით, “ლიბერო” ხომ “თავისუფალ კაცს” ნიშნავს!

ჰანს მაგნუს ენცენსბერგერმა კი “თავისუფალი კაცის” სახელი თავისი ცნობისმოყვარეობის გამო დაიმკვიდრა. კეისრისა და ციცერონის დროიდან მოყოლებული, “rerum novorum cupidus”-ი არც თუ კარგი სახელით სარგებლობს, თუმცა, სიახლისადმი ენცენსბერგერის ლტოლვა გასაოცარი და გადამდებია. ამასთან, იგი გაბედული ავტორიც არის, ისე, რომ ზოგ შემთხვევაში მის საზოგადოებაში ყოფნა სახიფათოც კია; თამაშ-თამაშ სჩვევია წერა, მაგრამ საკუთარ თავში უამრავი სიძნელის გადალახვა უხდება. ასე რომ არ იყოს, განა ოდესმე ხელს მოკიდებდა ისეთ სახიფათო ჟანრს, როგორც საბავშვო ლიტერატურაა?

ამასთან, ენცენსბერგერი ყოველთვის სწრაფია, თანაც ძალიან სწრაფი. “აბა, ამას დიდხანს როგორ გაუძლებს?”-ო – ამას ის ადამიანები ამბობენ, რომლებიც მას არ იცნობენ.

ტაროსის მაუნყებელი

საფრანგეთში, აი, უკვე კარგა ხანია, არსებობს “Dictionnaire des Girouettes” ანუ ლექსიკონი, რომელშიც ტაროსის მაუნყებელი ადამიანების სახელებია შეტანილი. აქ შეგიძლიათ იხილოთ სისტემურად და უახლესი პრინციპებით შედგენილი ნუსხა იმ ისტორიული თუ თანამედროვე ადამიანებისა, რომლებიც გუმანით გრძნობდნენ, საით უბერავდა მათი დროების ქარი.

მათ სათავეში ერთპიროვნულად ტალეირანი უდგათ. ჰანს მაგნუს ენცენს-ბერგერის სახელის შეტანა ამ ლექსიკონში მისმა რამდენიმე კოლეგამ ადრევე დააპირა. მაგრამ ერთ მათგანს ენცენსბერგერის დაუდგრომელი ხასიათი აღიზიანებდა; მეორე კოლეგა ჩიოდა, ჰ. მ.-ს საკუთარი თავის მეტი არავინ სწამს და ეს არის მისი ერთადერთი ძლიერი მხარეო; მესამე კი, საერთოდ, მისი ნდობის საკითხს აყენებდა ეჭვქვეშ და 47-იანელთა ჯგუფში მასთან შეხვედრას ასე აღწერდა: “ჰანს მაგნუს ენცენსბერგერი ერთ ადგილზე ვერ ჩერდება”.

ამ ფაქტის უარყოფა არ შეიძლება, რადგან ჰაინეს პრემიის ლაურეატისთვის მართლაც არაფერია იმაზე საძულველი, როდესაც მას ყოველი მხრიდან უყენებენ მოთხოვნას, ხასიათის სიმტკიცე და ურყეობა უნდა გამოიჩინო. არადა, ენცენსბერგერს აშინებს პრინციპებისადმი ერთგულება, რადგან ღრმად სწამს, რომ ყოველგვარი საქმე ყალბდება მისი ბოლომდე გააზრების შემთხვევაში; სწორედ ამის გამო ჩაყურყუმალავდება ხოლმე იგი უწყინარი დოქტრინებისა და დროებითი მოძღვრებების მორევში, ხოლო მის მიერვე წამოჭრილ, სახიფათო საკითხებზე ზუსტი და თან უშფოთველი პასუხი აქვს: “ამაში თავადაც ვერ ვერკვევი ასე ზუსტად!”-ო. ენცენსბერგერი შეაქებს არეულ-დარეულობას, მოსწონს შფოთი და მღელვარება, ხოტბას შეასხამს უმართავ მდგომარეობას და ერთგული რჩება თეოდორ ვ. ადორნოსი და ჰერბერტ ვენენერისა, რომლებიც თეორიასა და პრაქტიკას შორის გაჩენილ უფსკრულს ცივილიზაციის პროგრესად აღიქვამენ.

ღიახ, ჰ. მ.-ში არის რაღაც მაკიაველისეული; მან ხომ ნიკოლოში ადრევე შეიცნო თავისი ხუთასი წლის ძმა! პრობლემას მხოლოდ ის ქმნის, რომ მასობრივი დემოკრატიის პირობებში აღარ მოიძებნება უფლისწული, რომელიც გულისყურს მიაპყრობდა თანამედროვე მაკიაველის. ასე და ამრიგად, ენცენსბერგერი სმენადაკარგულ ყურებს უქადაგებს, როდესაც ცდილობს, ყოველი ჩვენგანის ყურადღება იმას მიაპყროს, რომ მუდმივ უაზრობას ყოველთვის დასაბუთებულად ცვალებადი აზრები უნდა ვამჯობინოთ. 1851 წლის მაისში ჰაინე მარქს სწერდა: “იმდენი რამ გადავიტანე, რომ, მართალი გითხრათ, უკვე აღარ ვიცი, რას ნიშნავს პროგრესი და რეგრესი”-ო. და-

საბუთებული არცოდნის ამგვარი განცდა არც ჰანს მაგნუს ენცენსბერგერისთვის არის უცხო. მის ერთ-ერთ წიგნს “ზიგზაგი” ჰქვია და სწორედ ეს არის მისი შრომების ლაიტმოტივი.

აქ კი უკვე ქრონოლოგია დაგვეხმარება, რათა გაუვნიბელყოფილი იქნას საყვედური მისი ორჭოფული სიმამაცის მიმართ. აი, თუნდაც შემდეგი გამონათქვამები ინებეთ: “შემიძლია ვთქვა, რომ მემარცხენეობის მორალურ პრინციპებთან არაფერი მაკავშირებს, რადგან იდეალისტი არ ვარ. რწმენის დაცვას ყოველთვის არგუმენტების მოტანას ვამჯობინებ. ეჭვების გამოთქმა უფრო მიყვარს, ვიდრე - სენტიმენტების. მძულს რევოლუციური ლაყბობა და არაფრად მჭირდება არანინააღმდეგობრივი სამყაროსეული სურათები. დაეჭვების შემთხვევაში საქმეს რეალობა გადაწყვეტს ხოლმე”. განა, ეს ძლიერი არგუმენტი არ არის? მერედა, ნუთუ ახლა ამას ის ავტორი წერს, რომლის მშფოთვარე ლექსებიც აგრერიგად აღაფრთოვანებდა 1968 წლის მემბოხეებს? ნუთუ, შეიძლება უეცრად ასე ცინიკურად წარმოაჩინოს საკუთარი თავი პოეტმა, რომელმაც ხელახლა შესძინა პათოსი პოლიტიკურ ლირიკას? არა, ამ კაცის სერიოზულად აღქმა არამც და არამც აღარ შეიძლება! რაო, სიმშვიდო? ენცენსბერგერის ციტირებული ტექსტი ზაფხულში კი არ შექმნილა, იგი 1966 წლის მარტის დასაწყისში გერმანიაში მომხდარი უკანასკნელი ამბოხით თარიღდება.

ენცენსბერგერი თავის “ტიტანიკის დაღუპვაში” ეპიკურ რეტროსპექტივულ მზერას საკუთარ თავს მიაპყრობს და წერს: “იმხანად უფრო ახალგაზრდა ვიყავი, მაგრამ სიფიცხის გამო ფერი დაკარგული მქონდა და თავის დროზე ჩემს მიერ დაწერილი ყოველი სიტყვის მჯეროდა”. მის საყვარელ ტექსტებს ბერტოლდ ბრეხტისეული “კოინერის ისტორიაც” უნდა მივაკუთვნოთ; ამ ტექსტში ვილაც კაცი დიდი ხნის უნახავ ბატონ კ.-ს მიესალმება და ეუბნება: “სრულიად არ შეცვლილხართ!” ბატონი კ. ფერს კარგავს და მიუგებს: “რა კარგია, რომ ჩვენს ქვეყანაში, სადაც ცუდი გუნება-განწყობა პოლიტიკორექტულობად ითვლება, ხოლო თავმეკავება უკვე ჭკუის გამოვლინებას ნიშნავს, იმ პოეტსა და მოაზროვნეს აფასებენ, რომლის კანის ფერიც თანდათან განახლებას განიცდის”.

ჰანსი და ჰარი

ჰანს მაგნუს ენცენსბერგერის შესახებ ერთობ უჩვეულო აზრი პირველად მავანმა კრიტიკოსმა გამოთქვა, რომელსაც ლაურეატთან ასევე უჩვეულო, “დისტანციური სიახლოვე” აკავშირებს, მაგრამ ეს სიახლოვე იმდენად გულწრფელი და მოკრძალებულია, რომ მას “ჰანს მაგნუს”-ს არასოდეს უწოდებს და მხოლოდ ჰ. მ.-დ მოიხსენიებს. ვახდენ მის ციტირებას:

“ჰ. მ.-ი გერმანიის უდავოდ ყველაზე მახვილგონიერი მწერალია. იგი საკუთარ ბუნებას ვერ ღალატობს და, ყოველგვარ გონებამახვილურ იდეაზე უარის თქმით, სურს თავშეკავებული ტონით ჭკუა დაგვარიგოს. ასეა თუ ისე, მის გაოცებას იწვევს გონებამახვილური აზრები; და მახვილსიტყვაობის ეს სახეობა ანუ იმ აზრების ურთიერთკავშირი, რომელიც აქამდე არც ერთ ადამიანს არ მოსვლია თავში, წარმოადგენს მახვილსიტყვაობასა და სიბრძნეს შორის უკანონო ქორწინებას და ბატონობს მთელ მის შემოქმედებაზე. ჰ. მ.-ი ამბობს: *ჩვენს დროებას უნივერსალობა ახასიათებს*-ო, და, რაკი მისი შემოქმედება მთლიანად ჩვენი დროების ხასიათითაა აღბეჭდილი, ამდენად მასშიც იგრძნობა ამ უნივერსალობისადმი სწრაფვა. აქედან გამომდინარე, ვხედავთ, თუ როგორ ვრცელდება იგი ცხოვრებისა და ცოდნის ყველა სფეროზე. სახელდობრ კი, ეს ისეთ რუბრიკებში ჩანს, როგორიცაა: ლიტერატურის მასობრიობა, ნაციონალურობა, სასკოლო განათლების და უცხოური ლიტერატურის გავლენა, ლიტერატურული ურთიერთობები, რელიგია, ფილოსოფია, ისტორია, სახელმწიფო, აღზრდა, ბუნება, ხელოვნება და კრიტიკა. ერთობ გვეჭვება, ახალგაზრდა მეცნიერი (ავტორი) ისე ღრმად იყოს ჩახედული ყველა ამ სფეროში, რომ მისგან ამ დისციპლინების ბოლოდროინდელი მდგომარეობის შესახებ საფუძვლიან კრიტიკას ველოდეთ. ჰ. მ.-ს დევინაციისა და კონსტრუქციების აგების უნარით გაჰქონდა ხოლმე თავი. დევინაციის პროცესი მას ბედნიერებას ანიჭებს, კონსტრუქციების აგების დროს კი ყოველთვის გონებამახვილობას იჩენს. მართალია, მისი ვარაუდები დრო და დრო ავბედიტი და მცდარი გამოდგება ხოლმე, მაგრამ ერთგვაროვანისა და საპირისპიროს ურთიერთდაკავშირების საქმეში

მას, მართლაც რომ, ბადალი არ ჰყავს! ჰოდა, აღარც კი ვიცით, რა სიტყვებით შეიძლება შევასხათ ხოტბა მის მახვილგონივრულ... პაექრობას!”

სრულიად დარწმუნებული ვარ, რეცენზენტს რომ სცოდნოდა, რომ მისი მშობლიური ქალაქი, ერთხელაც იქნება, მის სახელზე პრემიას დაანესებდა, დიდი სიამოვნებით მიანიჭებდა მას ჰ. მ. ენცენსბერგერს და არა – ბატონ მენცელს, რომლის ნაშრომის ციტირებასაც იგი თავმომწონედ ახდენს. ნაშრომი “გერმანული ლიტერატურა” 1829 წელს შეიქმნა, როდესაც მენცელი ჯერ კიდევ არ გამოდიოდა “ახალგაზრდა გერმანიის” მტრად.

როდესაც ენცენსბერგერის ლექსების პირველი ტომი “მგლების დაცვა” გამოქვეყნდა, ალფრედ ანდრეშმა თქვა: “მისი გამოჩენა გერმანული სულიერების სცენაზე მხოლოდ ჰაინრიხ ჰაინეს გამოჩენას შეიძლება შეედაროს”. მერე ისიც ბრძანა, ენცენსბერგერმა ააღორძინა ის, რაც ბრეხტის შემდეგ გერმანიაში აღარ არსებობდა, რის ნიმუშიც ჰაინემ მემკვიდრეობით დაგვიტოვა და რასაც დიდი პოლიტიკური პოეზია ჰქვიაო.

ალფრედ ანდრეში ერთადერთი ადამიანი არ იყო, ვინც “გერმანია. ზამთრის ზღაპარი” და “გერმანია, გერმანია, სხვათა შორის” ერთმანეთს შეუდარა. შედარება კი ბევრი რამისა შეიძლებოდა; ეს იყო: ენა და აზრთა ნყოფა, რეგისტრი და შერჩეული თემები, ლექსების მელოდიურობა და პროზის მაცდურად მსუბუქი ლტოლვა პოეზიისკენ, ავტორიტეტებისადმი პატივისცემის უგულვებლყოფა და რევოლუციის მიმართ უპასუხოდ დარჩენილი სწრაფვა, ირონიის დაუოკებელი ჟინი, რომელმაც არც მტრის დანდობა იცის და არც – მოყვარისა, და, არც თუ მთლად ბოლოს, ჩვენი “ლამისა და ნისლის” (ენცენსბერგერი) თუ “მუხნარისა და გონებაჩლუნგობის” (ჰ. ჰაინე) ქვეყნის გამო განცდილი ტანჯვა. ეს ის ტანჯვაა, რომელმაც ენცენსბერგერი, ისევე როგორც ერთ დროს ჰაინე, აზროვნებასა და პოეზიაში გარკვეულ კოსმოპოლიტიზმამდე მიიყვანა.

ჰაინეს პრემიის ლაურეატი ნამდვილად თავს იკავებს შედარებებისგან, და არა მხოლოდ ჰაინესთან მიმართებაში. ბიუხნერის პრემიის მიღების შემდეგ მას პოეზიაზე, ბიუხნერზე და საკუთარ თავზე არ ულაპარაკია; მისი გამოსვლა ტექსტებსა და კონტექსტებს ეხებოდა. და თუკი ვინმე ჰაინეს და

ენცენსბერგერის შედარებას მოინდომებს, მან ეს ორი ავტორი კი არა, მათი ლიტერატურული სამყარო უნდა შეუდაროს ერთმანეთს და თუნდაც იმის აღმოჩენას შეეცადოს, რა ანალოგიები არსებობდა ადრეული ენცენსბერგერის რესტავრატორულ გარემოცვასა და იმ ყოფით პირობებს შორის, რომლითაც აღბეჭდილი იყო ჰაინეს მთელი შემოქმედება; ესაა: გადასახლება, ცენზურა და ებრაელი ხალხის ბედით გამონვეული დიდი გულისტკივილი; თუმცა, ეს სასემინარო მუშაობის თემაა და არა – სახოტბო სიტყვისა. ენცენსბერგერს ჰაინეს სახელით მიაგებენ პატივს; დიახ, ჰანს მაგნუსს ქება-დიდებას კი ასხამენ, მაგრამ არა იმიტომ, რომ იგი ჰარის შესაგვანია.

Poeta doctus

ჰანს მაგნუს ენცენსბერგერი ჯერ კიდევ ჩვენს სიტყაბუკეში მოგვევლინა მოძღვრად და, შემდგომ ამისა, მის მიერ გაკვალულ გზას მივყვებოდით. დღესდღეობით, მისი ადრეული ლექსების ხელახლა კითხვის დროს, უჩვეულო განცდა გვეუფლება და კვლავ ნოსტალგია გვიპყრობს; არადა, გვეგონა, რომ სამუდამოდ დავაღწიეთ მას თავი. თავდაპირველად ბერლინის მკვიდრის, ამჟამად კი მიუნხენელი ენცენსბერგერის ციტირებას ვახდენ, რომელიც ამბობს, “ერთთავად ძველი ვაზნის ჰილზების, აღმოსავლეთის, გოგირდისა და დეზინფექციის სუნი ამდიოდა”-ო, ახლა კი ყოფილი ბერლინელი შიშობს, ძველ ფედერაციულ რესპუბლიკაში მომხდარი იმ ცვლილებების მონაწილე არ გახდეს, რომლის შედეგადაც ძველ მემარცხენეებს ახალი მემარჯვენეების ჯობნა აქვთ გადაწყვეტილი. მაინც რა მშვენიერი იყო ის დრო, როდესაც ახალ რესპუბლიკას ადვილად მიმოავლებდი თვალს, ადენაუერი მხოლოდ 27 წლისა იყო, ხოლო ენისა და პოეზიის გერმანული აკადემია დარმშტადტში საკმაოდ მცირე წლებს ითვლიდა საიმისოდ, რათა ბიუხნერის პრემია ერთი ახალგაზრდა პოეტისთვის მიენიჭებინა. ეს პრემია 34 წლის ჰანს მაგნუს ენცენსბერგერმა 1963 წელს მიიღო, და ამ გაიძვერამ, სწორედ მაშინ იყო, რომ აღნიშნა: “ჩემს ასაკში გეორგ ბიუხნერი უკვე ათი წლის მკვდარი იყო...”

აი, უკვე რა ხანია, ჰანს მაგნუს ენცენსბერგერი ჩვენთან ერთად მიუყვება ცხოვრების გზას; მის საზოგადოებაში ყოფნა ერთობ სასიამოვნო და ამალელვებელია. კი. მაგრამ, მაინც რას წარმოადგენს იგი სინამდვილეში? შეიძლება მასზე ითქვას, განათლებულიაო? წინასწარმეტყველი ან ბნელეთის მოციქული ხომ არ არის? იქნებ, ვოლტერი ან დიდროა. როდესაც 1978 წელს, პარიზში, ლუმინერების გარდაცვალების 200 წლისთავს აღნიშნავდნენ, კონგრესის პრეზიდენტმა თავისი მისასალმებელი სიტყვა ასე დაამთავრა: “ჩემო ქალბატონებო და ბატონებო! ვოლტერსა და რუსოს შორის არჩევნის გაკეთება რომ მომიხდეს, მე ორივე მათგანს დღესაც და ყოველთვის დიდროს ვამჯობინებდი”.

დიახ, როდესაც დღეს მას ჰაინეს პრემიით აჯილდოვებენ და საქმე განმანათლებელ ენცენსბერგერს ეხება, უპირველეს ყოვლისა, დიდროზე ვფიქრობთ. და თუ ჰაინე საკუთარ თავს იმ საბრალო ბულბულს უწოდებდა, ბუდე ვოლტერის პარიკში რომ დაედო, მაშინ ჰანს მაგნუს ენცენსბერგერი დიდროს ყურთან მოკალათებული ჭინჭრაქა ყოფილა.

განა, დიდროც ტაროსის მაუნყებელი არ იყო?! თავისი მშობლიური ქალაქის მცხოვრებლებზე იგი წერდა: “აქ ადამიანები პატარაობიდანვე შეგუებული არიან იმას, რომ ქარმა ისინი სათამაშო ბურთად უნდა გაიხადოს. ლანგრეში მცხოვრებ კაცს თავი მხრებზე ტაროსის მაუნყებელი ფლუგერივით აქვს შემოდგმული და ერთ ადგილზე ვერა და ვერ ჩერდება; სანყის წერტილს კი იმიტომ უბრუნდება, რომ ისევ და ისევ მოძრაობაში მოვიდეს”. “აბა, მაშ, სხვაგვარად როგორ უნდა მოიქცეს?” – ცდილობს აირიდოს ეს საყვედური ენცენსბერგერის “მფრინავმა რობერტმა”, და იმეორებს: “მაშ, სხვაგვარად როგორ უნდა მოიქცეს ასეთ მურტალ ამინდში?!”

ჰანს მაგნუს ენცენსბერგერს იმის დამაჯერებელი მაგალითი მოჰყავს, თუ როგორ შეიძლება სკეპტიკური განმანათლებლობა არა მარტო გადარჩეს, არამედ შემდგომში უფრო ცხოვრებლმყოფელი გახდეს და განვითარდეს კიდევ. განმანათლებლობის ისტორია არამც და არამც არ არის შარავანდედით მოსილი ადამიანების ბრძოლა ობსკურანტების წინააღმდეგ, როგორც ამას სახელმძღვანელოებში აგვინერენ. “დიდი ენციკლოპედიის” სათაური

გვამცნობს, რომ ესაა თავდადებული მცდელობა arts, sciences და metiers-ის, ანუ ხელოვნებათა, მეცნიერებათა და ხელობათა გაერთიანებისა და მათი ერთმანეთთან კვლავ დაახლოვებისა, რათა მოისპოს უფსკრული აზროვნებასა და ხელით შრომას შორის. ჩვენს დროში ამგვარი მცდელობა არავის გამოუვლენია ისეთი თვითმყოფადი სიცხადითა და უცილობელი მარცხის ხალისიანი შეგრძნებით, როგორც ეს დოქტ. ჰანს მაგნუს ენცენსბერგერმა მოახერხა. იგი poeta dictus-ია გერმანელ მწერლებს შორის და ერუდიციით მას მხოლოდ დოქტ. ბენი თუ გაუტოლდება.

საქმე ეხება არა პოეტის “ემპირიული ლაქლაქისთვის მხარის აბმას”, როგორც ამას გოეთე დაცინვით უწოდებდა, არამედ – კვლევა-ძიებას, რუდუნებით შრომას, გარეთ, ქუჩაში იქნება, ეს, თუ – შინ, ძველი წიგნების მეშვეობით. დიახ, საქმე ეხება სტატისტიკურ მონაცემებს, დიაგრამებს, საუბრებს დაინტერესებულ ადამიანებთან, პირველწყაროების კრიტიკას და სიზუსტითა და მგრძნობიარობით გამორჩეულ ჰერმენევტიკას; საქმე ეხება “ცნების გაგების მცდელობას” “უხერხულად ჩახლართული ფრაზის” გამოყენების ნაცვლად, ასევე – მუდმივ საველე კვლევას, მაგრამ არასოდეს – მსოფლიო სევდას.

ამას კი ყოველთვის იქით მივყავართ, რომ საჭირო ხდება, მიღებული ცოდნა ისეთ ენაზე გადმოიტანო, რომელიც, რაც შეიძლება მეტი ადამიანისთვის იქნება გასაგები. პოეტ-განმანათლებელზე არანაკლებიც ითქმის. ჰოდა, მე ამ საუკუნის გერმანელ მწერლებს შორის არ მეგულება არავინ, ვინც ჰანს მაგნუს ენცენსბერგერივით გამომცემელიც იქნებოდა და მთარგმნელიც, რედაქტორიც და რეკლამების მესვეურიც, თეატრის დირექტორიც და კორექტორიც, სიტყვის ჯადოქარიც და ციფრების დემონიც. მათ შორის არც სხვა მეგულება ისეთი, ვინც, ენცენსბერგერის მსგავსად, საკუთარ თავს ხელოსნად შეიგრძნობდა.

მრისხანება და ირონია

ყოველთვის სიამოვნებას განიცდი, როდესაც ჰანს მაგნუს ენცენსბერგერს კითხულობ, გულს უხარია მისი მოსმენა, ხოლო ის, ვინც მასზე ლაპარაკობს, ვერაფრით უძლებს ცდუნებას, რათა ოდნავ მაინც არ გახდეს მისი ესოდენ უხვად მომადლებული მახვილგონიერების თანაზიარი. მაგრამ ენცენსბერგერის ნაშრომები, იმავდროულად, გაჯერებულია სერიოზულობითაც, რომელიც ვერ მალავს თავს მთელი ამ მახვილგონიერების საფარქვეშ. მისი ფრაზები განმსჭვალულია რაღაც მშფოთვარებით, რასაც მხოლოდ მწერლის ტემპერამენტს ვერ დავაბრალებთ. არა, ეს მშფოთვარება მის მიერ აღწერილ თემებსაც უკავშირდება და დროების გამოძახილს წარმოადგენს. ამის ბოლო მაგალითად შეიძლება მისი ორი ესე დავასახელოთ, რომელთა სათაურებია: “დიდი მიგრაცია” და “სამოქალაქო ომის პერსპექტივები”.

1890 წლის 19 ნოემბერს ჰაინრიხ ჰაინე ვარნჰაგენს სწერდა: “ცნობილია, რომ არსებობენ ფრინველები, რომლებიც წინასწარ შეიგრძნობენ ისეთ ბუნებრივ მოვლენებს, როგორცაა ქექა-ქუხილი, მიწისძვრა, წყალდიდობა, და ა. შ. ჰოდა, ასევე არსებობენ ადამიანები, რომელთა გონებაც წინასწარ იუწყება მოსალოდნელ სოციალურ ძვრებს. ეს ადამიანები ამ დროს მიყურდებიან, ირინდებიან და უჩვეულო გუნება-განწყობა ეუფლებათ”.

ჰანს მაგნუს ენცენსბერგერი, მთელი თავისი გონებამახვილობით, სწორედ ასეთ ადამიანად წარმოგვიდგება. ის ცოცხალი სეისმოგრაფი და *anticipator maximum*-ია, მაგრამ ამასთან ყოვლისმცოდნეობასაც ვერ დასწამებ, და მას სწორედ იმიტომ ვემადლიერებით, რომ იგი თავის ამ “გაყურება-გარინდებას” მუდმივად ისეთი ფორმით ავლენს, რომელიც შეგვაჯანჯღარებს, მაგრამ ისე, რომ არ შეგვაგონებს, გვაფრთხილებს, მაგრამ ისე, რომ არ გოდებს და არ მოთქვამს. ბერლინის კედლის დაცემის წელს, იმ დიდი აღფრთოვანების დროს, ენცენსბერგერი ამბობდა: “შესაძლოა, ოდნავ სარკაზმამდეც კი მივიდეს საქმე, თუკი ადამიანი მუდმივად და პრინციპულად უარს იტყვის სურვილზე, საკუთარ თავში ჩაახშოს გარკვეული ხალისი საყოველ-

თაო დეპრესიის წინაშე. ამ დროს საკმარისია, შიგადაშიგ გამოუხმო ლიტენბერგს, გაიხსენო დიდრო, ოდნავ იგრძნო ჰაინეს სულის ქროლვა, და, მაშინ, ყროლის სუნი უმაღ გაქრება ინტელექტუალური ფსიქოდრომიდან”.

ორმოცდაათიანი წლების ბოლოს აღფრედ ანდერში ლიტერატურულ ასპარეზზე ჰანს მაგნუს ენცენსბერგერის გამოჩენას ისეთი აღტყინებით შეხვდა, როგორც მხოლოდ მორწმუნეებს შეიპყრობს ხოლმე უფლის კვლავ გამოცხადების მოლოდინში. მან თქვა: “ბოლოს და ბოლოს, ჩვენს შორის გამოჩნდა განრისხებული ახალგაზრდა კაცი”. მერე კი, ალბათ, მომავალზე თუ დღევანდელ დღეზე ფიქრით შეპყრობილმა, თქვა: “ენცენსბერგერისთანა ნიჭის მქონე კაცს ყოველთვის დაემუქრება საფრთხე. ჰოდა, რა ბედი ეწევა მას, როდესაც, ერთხელაც იქნება, მრისხანება დაუცხრება და აღშფოთებას ასე იოლად ველარ უტევს გზას?”

ჰანს მაგნუს ენცენსბერგერისადმი ჩემს მილოცვაში ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა არ გამიჭირდება და შემიძლია იგი მხოლოდ ჰაინრიხ ჰაინეს სულუსკვეთებით გამსჭვალული სიტყვებით გავახმიანო: მრისხანებას ყავლი გასდის, ირონია კი უკვდავია.

სარჩევი

| | |
|---|----|
| გამომცემლის წინასიტყვა (დათო ბარბაქაძე) | 7 |
| ჰ. მ. ენცენსპერგერი. ლექსები | |
| ფრანკონული ალუბლის ბალი იანვრის თვეში <i>თარგმნა ბესიკ ადგიშვილმა</i> | 10 |
| მგლების დაცვა კრავებისგან | 12 |
| ქვეყნის ენა | 14 |
| ლექსი ლექსების არმკითხველთათვის | 21 |
| ბრმად | 23 |
| მშვიდობიანი კაცის საფლავზე | 25 |
| Middle Class Blues | 26 |
| ლიქენტუნყება | 28 |
| ჩრდილსამეუფო | 33 |
| სილუეტი | 35 |
| ხელახალი აღზრდის სირთულეთა გამო | 36 |
| სიმღერა იმაზე რაც ყველაფერს ეხება და რაც უკვე ვიცით <i>თარგმნა დათო ბარბაქაძემ</i> | 38 |
| ჰ. მ. ენცენსპერგერი. ესსეები | |
| მეცნიერების პოეზია <i>თარგმნა თამარ კოტრიკაძემ</i> | 42 |
| ნულოვანი მედია <i>თარგმნა შორენა შამანაძემ</i> | 59 |
| ვოლფ ლეჰენიანი. | |
| მრისხანებას ყავლი გასდის, ირონია კი უკვდავია <i>თარგმნა ნანა გოგოლაშვილმა</i> | 74 |

INHALT

| | |
|--|----|
| Vorwort des Herausgebers (Dato Barbakadse) | 7 |
| | |
| HANS MAGNUS ENZENSBERGER. GEDICHTE | |
| Verteidigung der Wölfe gegen die Lämmer <i>übersetzt von Bessik Adeischwili</i> | 10 |
| Landessprache | 12 |
| Gedichte für die Gedichte nicht lesen | 14 |
| Blindlings | 21 |
| Auf das Grab eines friedlichen Mannes | 23 |
| Middle Class Blues | 25 |
| Flechtenkunde | 28 |
| Schattenreich | 33 |
| Schattenbild | 35 |
| Über die Schwierigkeiten der Umerziehung | 36 |
| Lied von denen auf die alles zutrifft und die alles schon wissen <i>übersetzt von Dato Barbakadse</i> | 38 |
| | |
| HANS MAGNUS ENZENSBERGER. ESSAYS | |
| Die Poesie der Wissenschaft <i>übersetzt von Tamar Kotrikadse</i> | 42 |
| Das Nullmedium <i>übersetzt von Schorena Schamanadse</i> | 59 |
| | |
| WOLF LEPENIES | |
| Der Zorn altert, die Ironie ist unsterblich <i>übersetzt von Nana Gogolaschwili</i> | 74 |